# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 2010 წელი.

№234 (6600)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ბალაფში ქართველებს ლანძღავს და პიტერ სემნებს აფრთხილებს, რომ...

2

## გამარტივებული სავიზო რეჟიმი დამტკიცებულია

3

## შსს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის" დებულება

6

9

# პოლიტიკა მართლა ბინძური საქმეა?



5

# ლევან გაჩეჩილაძემ „ნეხვში ოქროს კოშკის აშენებაზე" უარი განაცხადა



**„ქართული პარტიის"** ერთ-ერთი ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის მტკიცებით, მას შეეძლო სააკაშვილთან თბილი ურთიერთობის ფონზე ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად დარჩენილიყო, მაგრამ „ნეხვში ოქროს კოშკის აშენებაზე" უარი თქვა.

— ჩემთვის ძალიან ადვილი იყო მიხეილ სააკაშვილთან თბილი ურთიერთობების ფონზე ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად დავრჩენილიყავი, როგორიც იქამდე ვიყავი, არ მეტეხა ამის გამო თავი და სიცოცხლე სასწორზე არ დამედო, ვიქნებოდი ჩემთვის ჩუმად, როგორც ბევრი ადამიანია და ოქროს კოშკს ავაშენებდი, მაგრამ ნეხვში ოქროს კოშკის აშენება არ მინდოდა. მე ეს ადამიანურად არ შემიძლია, — განაცხადა გაჩეჩილაძემ „მაესტროსთან" საუბარში.

მისივე განმარტებით, მას სააკაშვილის მოშორების საქმეში უამრავი რესურსი აქვს ჩადებული და ამის გამო ბრძოლას ბოლომდე მიიყვანს.

— სააკაშვილის მოშორების საქმეში არავის არ „ვეკონკურენტები", რადგან ამაში კონკურენტი არ მყავს და ვერც მეყოლება. მე დავიწყე ეს ბრძოლა და მას ბოლომდეც მე მივიყვან, — განმარტა მან.

ХО-ЭОВ-ЭБО

## მოინანიონ, იქნებ მიეტევოთ...

წერილი ამერიკიდან



3

აქტუალური თემა

4



## შევახსოვლეს ჯავახეთი!

ინფორმაცია

## ბაღაფში ქართველებს ლანძღავს და პიტერ სემნებს აფრთხილებს, რომ...



**ატმოსფერო**, რომელიც ბოლო დროს ქართულ-აფხაზური დარეგულირების ირგვლივ იქმნება ევროპული პოლიტიკური სტრუქტურებისა და აშშ-ის სენატის რეაქციების ფონზე, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებებზე გაკეთდა, აიძულებს აფხაზეთს თავისი პოზიციის კორექტირება მოახდინოს. ეს განცხადება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან პიტერ სემნებთან სოხუმში გამართული შეხვედრისას გააკეთა.

აფხაზური მხარის ინფორმაციით სერგეი ბაღაფშმა და პიტერ სემნებმა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე ისაუბრეს. სერგეი ბაღაფშის აზრით, თანამშრომლობის პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ასპექტებად დაყოფამ დადებითი შედეგები ვერ მოიტანა. — ჩვენ ვხედავთ პოლიტიკურად გაუაზრებელ, ანგაჟირებულ მოქმედებებს ევროპული სტრუქტურებისა საქართველოს მხარდასაჭერად, მიუხედავად იმ ტრაგიკული მოვლენებისა, რომლებშიც ბრალი საქართველოს მიუძღვის, — განაცხადა სერგეი ბაღაფშმა და კიდევ ერთხელ დაუდასტურა ევროკავშირის მისიას თავისი დამოკიდებულება „თბილისის მშვიდობიან ინიციატივებზე„.

— საქართველოსთან ურთიერთობების გამოცდილება აფხაზურ მხარეს სულ სხვა რამეში არწმუნებს. სწორედ ამიტომაც სოხუმი არ ენდობა სააკაშვილის არც ერთ დეკლარაციას, მანამ ვიდრე არ მიიღებს მკაფიო დადასტურებას იმისა, რომ საქართველო მზადაა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გააფორმოს საერთაშორისო გარანტიებით, — განაცხადა ბაღაფშმა და აღნიშნა, რომ აფხაზეთის ოფიციალური წერილი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაეროს გენერალური მდივნისათვის უკვე გაგზავნილია.

ბაღაფშმა შეხვედრის დროს ასევე გააფრთხილა სემნები, რომ უახლოეს მომავალში მდინარე ენგურის გასწვრივ სრულფასოვანი სასაზღვრო ინფრასტრუქტურის შექმნას აპირებს.

## კადიროვი თანამემამულეებს ამუნათებს



**მოსკოვის** ქუჩებში გამართულ აქციებში ჩეჩნები მონაწილეობას არ მიიღებენ, ხოლო ის რაც მანეჟის მოედანზე მოხდა ოპოზიციის ბრალია. აცხადებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური რამზან კადიროვი.

— ერთი ჩეჩენიც კი არ გამოვა დღეს „ევროპეისკის“ სავაჭრო ცენტრთან მოსკოვში. ჩეჩნები არ გამოვლენ იმიტომ, რომ მათ ეს არ სჭირდებათ. ისინი არავის მისცემენ საკუთარი თავის მოტყუების საშუალებას და არ გახდებიან პაიკები სხვის თამაშში. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ჩეჩენი ხალხის არც ერთი წარმომადგენელი, იქნება ეს პოლიტიკური მოღვაწე, საზოგადოების წარმომადგენელი თუ მოქალაქე რომლის აზრს ითვალისწინებენ, რაღაც აქციებში მონაწილეობას არ აპირებს, — განაცხადა კადიროვმა გროზნოში.

მისივე თქმით, მას უკვე გაცემული აქვს განკარგულება, რომ მისი ეს აზრი, მოსკოვსა და რუსეთის სხვა რაიონებში მაცხოვრებელ ჩეჩნებამდე მივიდეს.

— ოფიციალურად ვაცხადებ, თუკი რომელიმე ჩეჩენი გაბედავს და მოსკოვში გამართულ უწესრიგობებში მიიღებს მონაწილეობას მას თავისი ნათესავები ჩვენი წესების მიხედვით დასჯიან. კერძოდ — იმ წესის მიხედვით, რომელიც უმცროსს უფროსის მორჩილებას ავალდებულებს, ამ შემთხვევაში კი რესპუბლიკის მეთაურის გაუგონლობაზე და დაუმორჩილებლობაზეა საუბარი, — აცხადებს კადიროვი.

## მართლა დატოვა პროექტი?

**გავრცელებული** ინფორმაციით, „ქობულეთის ტურისტულ ზონაში“ სასტუმროს აშენებაზე უარი ერთ-ერთმა მოთამაშემ თქვა და პროექტიც დატოვა. აღნიშნულ ფაქტს კი აჭარის მთავრობაში არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია და სიმართლეს არ შეესაბამება.

ჯი-ეიჩ-ენი

მოსაზრება

# კრეატიულ გადაწყვეტილებათა ძიებაში

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსოძ გაწევრების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას მოლდოვას პრეცედენტის დაშვებას, კერძოდ, როკის გვირაბსა და ფსოუზე არსებულ სასაზღვრო საგუშაგოებზე ევროკავშირის შესაბამისი მისიის ჩაყენების ინიციატივის გახმიანებას სთავაზობს.**



როგორც თარგამაძემ „პირველს“ განუმარტა, დნესტრისპირეთის სადავო მონაკვეთზე მოლდოვასა და მისი მეზობელი სახელმწიფოს საზღვარს ევროკავშირის სასაზღვრო მისია აკონტროლებს.

„ეს კარგი საშუალებაა, ერთის მხრივ, მოლდოვას ხელისუფლებისთვის, ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია საზღვარზე არსებული სიტუაციის, მათ შორის ტვირთბრუნვის შესახებ და ამავდროულად კომპრომისული ვარიანტია რუსეთისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია, საზღვარს უშუალოდ მოლდოვას მხარე არ აკონტროლებდეს“ — აღნიშნა მან.

კითხვას, რამდენად მოსალოდნელია, რუსეთმა, რომელიც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაშვების არაერთ მოწოდებას ამ დრომდე იგნორირებას უწევს, ეს ახალი წინადადება მიიღოს, თარგამაძემ ასე უპასუხა: „გასაგებია, რომ რუსეთი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაშვებაზე უარს აცხადებს, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო ვიწრო — მხოლოდ სასაზღვრო კოტროლის ფუნქციის მქონე მისიის კონკრეტულ სასაზღვრო ზონებში ჩაყენებაზეა საუბარი და ვინაიდან თავად რუსეთს მოლდოვა-დნესტრისპირეთის პრობლემასთან დაკავშირებით მსგავსი პრეცედენტი უკვე დაშვებული აქვს, მისთვის ამ პრაქტიკის სხვაგან, კერძოდ, საქართველოში გამოყენების დაბლოკვა უხერხული უნდა იყოს“.

„ვფიქრობ, თუ ქართული მხარე რუსეთს მსო-ში გაწევრებაზე თანხმობის სანაცვლოდ ასეთი წინადადებით მიმართავს, ეს, საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქართული მხარისთვის კარგი გამოსავალი იქნება, რუსეთისთვის კი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია, საზღვარს უშუალოდ ქართული მხარე არ აკონტროლებდეს — კომპრომისული წინადადება“ — განუცხადა „პირველს“ თარგამაძემ და აქვე დასძინა, რომ პარალელურად რუსულ მხარესთან განხილვის საგანს ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება უნდა წარმოადგენდეს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა აშშ-სთან და ევროკავშირთან ქვეყნის მსო-ში გაწევრების საკითხზე მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. ამის შემდეგ პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ ქვეყნის მსო-ში გაწევრების პერსპექტივა ბევრად უფრო ნათელი გახდა და რუსეთი ორგანიზაციის წევრი უკვე 2011 წელს შეიძლება გახდეს. თუმცა საქართველოს ვეტო მოსკოვისთვის ამ საკითხში კვლავ სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება.

თბილისი კი, „კრეატიული გადაწყვეტილებების ძიების“ შესახებ აშშ-ის მიწოდების მიუხედავად, ოფიციალური განცხადებების დონეზე პოზიციას არ იცვლის და ვეტოს მოხსნის პირობად კვლავ როკის გვირაბსა და ფსოუზე ერთობლივი სასაზღვრო კონტროლის განხორციელებას აყენებს.

მედვედევის მიერ ნახსენები 2011 წელი უკვე მოახლოვდა, თუმცა როგორც „პირველს“ გიორგი თარგამაძემ განუცხადა, მისი მონაცემებით, ქართულ და რუსულ მხარეებს შორის ამ საკითხზე ჯერჯერობით არც ოფიციალურ, არც კულუარულ დონეზე, არც შუამავლების მონაწილეობით და არც მათ გარეშე მოლაპარაკებები არ გამართულა.

„პირველი“

წკეპლიკა

# ყოჩაღ, რუსთავის ადმინისტრატორებო!..

**ე რა შესანიშნავი ინიციატივა გამოიუჩენიათ, კაცოო!.. ახლა რომ დავსრიალებთ, ის ავტომობილები დავთმოთ, გავყიდოთ და იაფზე გადავიდეთ, ადმინისტრაციულ ხარჯებს დავზოგავთ და მოსახლეობის კეთილდღეობას მოვახმართო.**

აგაშენათ ღმერთმა! ამაზე უკეთესს რას მოიფიქრებდით, რუსთაველო ადმინისტრატორებო, ან აქამდე სად იყავით! ასეც გიქნიათ, სულაც ველოსიპედებზე შემომსხდარხართ, კიდევ მეტად დაიზოგება ადმინისტრაციული სახსრები...

ახლა მთავარია ეს შესაშური თაოსნობა ქვეყნის მასშტაბითაც გადმოიღონ ხელისუფლებმა და თბილისიდან დაიწყონ შეშურვება! წარმოიდგინეთ, პრეზიდენტმა რომ აუქციონზე „გამოიტანოს“ ავლაბრის თურმე მილიარდდოლარიანი სრასახლი, გაყიდოს, „სკრომნი“ კოტეჯში გადავიდეს და იქიდან მართოს ეს გაუმართავი საქართველო; ან უზარმაზარი ლაინერი „გამოაგოროს“, ისიც გაყიდოს და უბრალო თვითმფრინავით „მოიფრინოს“ მსოფლიოს დარჩენილი მოუფრენი 40 პროცენტი; ხო აზრზე ხართ, რამხელა თანხა შემოვა სახელმწიფოს ბიუჯეტში, ფინანსთა სამინისტრო და შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტი თვლას ვეღარ აუვლენ...

ავამუშავოთ ფანტაზია და კიდევ „იქით“ წავიჩოჩოთ: ჩვენი მიხეილ-ბატონი, თავისი სიტყვის პატრონი, თუ შეამჩნიეთ, ბოლო დროს სულ ახალ-ახალი ინიციატივით გამოდის, მართალია, ძირითადად საზღვარგარეთ და საპიაროდ, მაგრამ ხომ გამოდის! ეგებ ერთ დღესაც საზღვარშიგნით გამოიჩინოს თაოსნობა — თუნდაც რუსთაველთა ნახედვით — და გამოაცხადოს: ქამრები ხომ უკვე შემოვიჭირეთ, ახლა გადავიდეთ მთელი დანარჩენი საქართველოს მასშტაბით ადმინისტრაციული ხარჯების მკვეთრად შეკვეცაზე — ათასობითლარიანი ხელფასებით და პრემიებით, ათასნაირი ზიზილ-პიპილა ღონისძიებებით, უცხოეთში და „ნაცხოეთში“ უთავბოლო თუ უგეგმო მივლინებებით, ევროპაში ყველაზე გრძელი და მერე იმაზე გრძელი ბულვარების გაყვანით, შუშისა და ბეწვის ხიდების, შუშა-შუშა კიტრებივით ცაში ატყორცნილი ფალოსების აგებითა და კიდევ, ეშმაკმა თუ არა, ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი რამით... ნახავთ, რა მალე გვეშველოს ამ უსაშველო მდგომარეობაში...



მანამდე კი — მანამდე თუ კიდევ არ გვეტკინა-რა ყოჩაღ რუსთაველებო, ყოჩაღ რუსთაველო ადმინისტრატორებო, ბარაქალა თქვენ! კარგი დასაწყისი ხომ საქმის ნახევარია... საბრალო ქვეყანას ვინ იცის, რა ტკივა, ჰოდა, საჭიროა ი-ნი-ცი-ა-ტი-ვა!..

**ლუკა გორგაძე**

რა გვეშველება?!

# ზუგდიდელი პაპუნა ქორჩუა საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს

**ზუგდიდელი ინჟინერ-მექანიკოსის პაპუნა ქორჩუას ხუთსულიან ოჯახში ყველანი უმუშევრები არიან და ოჯახი შიმშილით ამოწყვეტისგან რომ იხსნას, უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე და ევროკავშირის წარმომადგენლობას თავშესაფარს სთხოვს!**

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ის სამსახურიდან უსამართლოდ და უკანონოდ განთავისუფლებამ მიიყვანა. პაპუნა ქორჩუა 6 წლის განმავლობაში „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ დასავლეთის რეგიონის რიგით თანამშრომლად — ქვესადგურის მორიგედ მუშაობდა. კანონიერების აღდგენისა და სიმართლის პოვნის მიზნით მან თითქმის ყველა ინსტანციას მიმართა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მან წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს: „ვმუშაობდი „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ — ზონის ქვესადგურის მორიგედ. მას შემდეგ რაც ჩემმა უშუალო ხელმძღვანელმა ვახტანგ ქარჩავამ მომთხოვა დამატებითი საათები მემუშავა, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დავთანხმდი, თუმცა ხელშეკრულების საფუძველზე მოვითხოვე დამატებითი საათების ანაზღაურება, ამის გამო დასავლეთის რეგიონის ფილიალის დირექტორმა ირაკლი ვახტანგიძემ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დამითხოვა სამუშაოდან. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ დამეხმაროთ ჭეშმარიტების დადგენაში, თქვენ ხართ ბოლო იმედი და თუ ეს იმედიც გადამეწურება, მაშინ რა აზრი აქვს ამ ქვეყნის მოქალაქეობას?“, — ნათქვამია პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში.

პაპუნა ქორჩუას საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის მცდელობა ერთხელ უკვე ჰქონდა: „მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და ახალი ხელისუფლება მოვიდა, მეგონა, რომ მეშველებოდა, სამსახურს ვიშოვიდი, მაგრამ ხუთი-ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მივხვდი, რომ „ვარდოსნები“ არაფერს აკეთებდნენ საქართველოს უმწეო მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ვინაიდან ვიყავი უმუშევარი, იძულებული შევიქენი მიმემართა რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტისთვის — მოეცა ჩემთვის რუსეთის მოქალაქეობა... ჩემი განცხადების შემდეგ დაფაცურდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი და დამაკმაყოფილეს იმსამსახურით, რომლიდანაც უსამართლოდ გამანთავისუფლეს. ამჯერად მე არა რუსეთის პრეზიდენტს, არამედ ევროკავშირის წარმომადგენლობას ვთხოვ თავშესაფარს!“ — ამბობს პაპუნა ქორჩუა.

ბედკრული საქართველო! რა დღეში ჩავარდა მოსახლეობა!

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

ბარათი ნიუ-იორკიდან

# მოინანიონ, იქნებ მიეტევოთ...

## ღია წერილი ქალბატონ ბაია ამაშუკელს

*„როგორ გძინავთ მშვიდად, ნაცების მშობლებო. ასეთი სისხლიანი და ცოდვილი შვილების გაჩენისთვის პატიების სათხოვნელად დღედაღამ მუხლებზე ჩოქვით, ფორთხვით უნდა უვლიდეთ თქვენი გაზრდილი შვილებისაგან გაუბედურებულ ოჯახებს. იქნებ შეგინდონ, იქნებ მცირედად მაინც გამოისყიდოთ, მაგრამ, ვაი რომ არც თქვენ ხართ თქვენგან მოვლენილებზე უკეთესნი!!!“*

*„ასავალ-დასავალი“,*
*2010 წლის 8-14 ნოემბერი №45 (841) „საერთო გაზეთი“*

გეთანხმებით, ქალბატონო ბაია, აბსოლუტურ სიმართლეს ჰღაღადებენ ბაგენი თქვენი, მაგრამ მთავარი რამ დაგვიწყნიათ, სიმართლე გითხრათ, თქვენისთანა ერუდირებული პიროვნებისგან, ნამდვილად გამკვირვებია.

არაერთი თქვენი პუბლიკაცია წამიკითხავს დიდი ინტერესით. ვიცი, რომ გულით წუხართ ჩვენი სამშობლოს აწმყოსა თუ მომავალზე, მაგრამ წარსული რატომ დაგვიწყნიათ? **შედეგს ებრძვით, მიზეზზე კი გაჩუმებულხართ...** არც ისე შორეულ წარსულს მიეკუთვნება 1990-1991 წლები, რომ ასე დაგვიწყნოდათ. ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ იმ უზნეობის ორომტრიალის საფუძველთა საფუძვლის შესახებ, დღევანდელ საქართველოში რომ გამეფებულა? ნუ მიწყენთ და ეს მიმართვა პირველ რიგში თქვენი საკუთარი მშობლის, საქართველოს გამოჩენილი პოეტის რეზო ამაშუკელის, შემდგომში მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილისა და მისი მეგობრების, ასევე გამოჩენილი „წითელი ინტელიგენციის“ თვალსაჩინო წარმომადგენლების მისამართით რომ დაგესვათ, ვგონებ უფრო აჯობებდა... თორემ 1990-იან წლებში ნაცმოელი ბიჭ-ბუჭების უმრავლესობა 10-15 წლისანი თუ იქნებოდა და დარწმუნებული ვარ, ბევრმა მათგანმა დღესაც არ იცის, რა მოხდა იმ ავადსახსენებელ დროს...

**მაინც რისი იმედი ჰქონდა იმდროინდელ კომუნისტურ თუ ნაკომუნისტარ „წითელ ინტელიგენციას“, საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას რომ თავს დაესხა და ზოგმა სიტყვით, ზოგმაც კი ტყვიით ძირი გამოუთხარა და თვალსა და ხელსშუა გაგვინადგურა დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხშედგმული სამშობლო, უფრო მეტიც, უმოწყალოდ დაგვამხო თავს ეროვნული კანონიერი ხელისუფლება?!!**

გაიხსენეთ ფილარმონიაში შეკრებილნი ერთმანეთს რომ არ აცლიდნენ და მძვინვარედ მოუწოდებდნენ ქართველი ზვიად გამსახურდია სამეგრელოში ჩამოვიდა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სასწრაფოდ შეიკრიბნენ პუტჩისტები — „მხედრიონი“, „თეთრი არწივი“, კიტოვანის ბანდები, თევზაძის „გორდა“, ნოდარ ნათაძის „იმედი“ და მათთან ერთად ავტომატიანი ჭანტურია, სარიშვილი, წერეთელი, მონარქისტი თემურ ჟორჟოლიანი, რომლებიც ჩვეული ენთუზიაზმით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ტრიბუნაზე და ილაშქრებდნენ საქართველოს ეროვნული მგზნებარედ მოუწოდებდა დამსწრეთ, **მოითხოვდა ქართველი ერისთვის იმ ღვთივმოვლენილი ადამიანის ლიკვიდაციას, რომელიც ზნეობისა და მორალის დამკვიდრებას ცდილობდა პოლიტიკაში და საქართველოსა და ქართველ ერს ქრისტეს გზით სიარულს სთავაზობდა..**

ამიტომ რატომ გიკვირთ, დღეს რომ უზნეობის ჭაობში ჩაფლულა საქართველოს უდიდესი ნაწილი? ქართული საზოგადოების „თვალსაჩინო“ წარმომადგენლებმა, დაწყებული ერის მეტად მცირე, სამარცხვინო ნაწილს, რომ გაექძევებინათ სამშობლოდან „დიქტატორი“ გამსახურდია!!!



სამწუხაროდ, რაც მამათქვენმა და მისმა საძმომ დათესა, იმასაა რომ ვიმკით ასე მწარედ. რას ვიზამთ, სიმართლე მწარეა მოსასმენად, მაგრამ თუ მართლაც გულწრფელად გტკივათ გული ჩვენი სამშობლოს ბედუკუღმართობაზე, იქნებ ჯობდა, შინაურებიდან დაგეწყოთ და ვიდრე ძალიან არ დაგვიანებულა, გეთხოვათ იმ ცოდვათა მონანიება, სრულიად საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ რომ ჩაიდინეს!!!

გადამწვარ-გადაბუგული „კოლხური კოშკიც“ კმარა იმ ავადსახსენებელი დღეების გასახსენებლად...

იქნებ გეკითხათ მათთვის, მაინც რას ფიქრობდნენ, რისი იმედი ჰქონდათ, ანდა რა ეგონათ? ედუარდ შევარდნაძეს ჩამოიყვანდნენ, აღიდგენდნენ ძველ „პატივსა“ და „დიდებას“ და კვლავაც განცხრომით იცხოვრებდნენ? რა მიიღეს? ფაქტობრივად საკუთარ ამბიციებს **გადააყოლეს სამშობლო და თქვენი, საკუთარი შვილების მომავალიც!!!**

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ 1993 წლის 24 სექტემბერს, როდესაც საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი ბატონი კანონიერი ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ.

მათ შორის რეზო ამაშუკელიც გახლდათ. მან პირველმა მოუწოდა იქ დამსწრეთ: **„ჩვენ არ დავუშვებთ ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად დაბრუნებას, უნდა მოხდეს მისი სასწრაფო ლიკვიდაცია“!!!** ასეთივე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მთელ ზვიადისტების ამალასაც, რომლებიც იმ დროისთვის საქართველოს მოსახლეობის 87 პროცენტს შეადგენდნენ.

მაპატიეთ, თუ სიტყვასიტყვით ვერ მოვიყვანე მისი გამონათქვამი ( ამას, ალბათ, თავად უკეთ გაიხსენებს ანდა არსებობს ვიდეომასალა და შეგიძლიათ იქ დააზუსტოთძ, მაგრამ ფაქტი ერთია: იგი, შევარდნაძის უერთგულესი კაცი, ასე ჭადრაკის დედოფლებითა და რიგითი კალმოსნებით ან ვაიმსახიობებით დამთავრებული, ხომ თავად დაატეხეს ქართველ ერს ამდენი უბედურება და მოჰგვარეს ჯერ შევარდნაძის არალეგიტიმური, შემდგომში კი მის მიერ ხელდასხმული, ასევე არალეგიტიმური სააკაშვილის ქართველთმოძულე, მოღალატე ხელისუფლება!!!

ამასაა რომ იმკიან სწორედ ბოლო 19 წელია, თუმცა კვლავაც არ უნდათ სიმართლეს თვალი გაუსწორონ და ურცხვად ამუნათებენ ქართველ ხალხს, რატომ არ გამოდიხართ მოღალატე ხელისუფლების წინააღმდეგო... დავიწყნიათ, რომ ქართველი ხალხი ბრძენია და გულში ფიქრობს: „ძაღლი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო“!!! ჰოდა, აგერაა ბურთიცა და მოედანიც...

დარწმუნებული ვარ, ეს ხელისუფლება დიდხანს ვერ იბოგინებს და უსათუოდ დაემხობა, მაგრამ რა მერე? თქვენ რისი იმედი გაქვთ? **შეძლებთ კი სამართლიანობის აღდგენის გარეშე ქვეყნის აღმშენებლობას?**

ქალბატონო ბაია, ნება მიბოძეთ, ეს წერილი ასევე მიმართვით დავამთავრო:

**როგორ გძინავთ მშვიდად, პუტჩისტების, მხედრიონელების, ცოდვილი მშობლების შვილებო? შვილებო იმ მშობლებისა, ვინც ქართველი ერი ამ დღეში ჩააგდო? ვიდრე ძალიან არ დაგვიანებულა, მოუწოდეთ მათ, მოინანიონ ის უდიდესი ცოდვანი, საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას მიმართ რომ ჩაიდინეს!!!**

**ქართველი ხალხი გულმოწყალეა. რა იცით, ეგებ შეუნდოს კიდეც... თუ არა და იქნებ მცირედი მაინც გამოისყიდონ და ოდნავ მაინც შეიმსუბუქონ დამძიმებული სული...**

**ნანა ტატიაშვილი,**
16 ნოემბერი, 2010
ნიუ-იორკი, აშშ

***რედაქციისგან:** ნიუ-იორკიდან გამოგზავნილ ჩვენი თანამემამულის ამ წერილს შეიძლება, ხმა წარსულიდანაც ვუწოდოთ, ჩვენი უახლოესი წარსულიდან, რომელიც „ხალხთა მძლე კავშირის“ დანგრევას მოჰყვა და დღემდე სწორი, მიუკერძოებელი ისტორიულ-პოლიტიკური შეფასება არ მისცემია. აი სწორედ ამ შეუფასებლობის ბრალია, რომ პირველი პრეზიდენტის მომხრეები და მოწინააღმდეგენი ამჟამადაც შეურიგებელ პოზიციებზე დგანან. ასეთ პოზიციაზე დგას ქალბატონი ნანა ტატიაშვილიც, რომელიც იქნებ არცთუ უსამართლოდ ითხოვს „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენას. ამდენად, არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს ის ერთგვარად შემრიგებლური, მაგრამ რამდენადმე რადიკალური აზრი, რასაც თავის გულისტკივილიან წერილში გამოთქვამს. რას ვიზამთ, რამდენიც ადამიანია, იმდენი აზრია. უტყუარი დემოკრატიის მშენებლობის პირობებში კი ყველა აზრი ანგარიშგასაწევია, თუ მართლაც გვინდა, რომ საბოლოო ჭეშმარიტებას მივაგნოთ.*

გვეხმაურებიან

# კაცობა მართლაც ნებისმიერ შტანგაზე მძიმეა, მაგრამ...

**ამას წინათ დიდებული პიროვნებისა და მოქალაქის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ჩემთვის უძვირფასესი ქალბატონის ნარგიზა მესხის სამძიმარზე გახლდით და მწუხარებაზე მწუხარება დამემატა: უამრავმა ნაცნობ-მეგობარმა მისაყვედურა ის, რითაც დღემდე ვამაყობ და დღეის შემდეგაც ვიამაყებ. კერძოდ, ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძის აღზრდაში წვლილი.**

მაინც რა დააშავა ასეთი-მეთქი?

წაიკითხე 11 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი დავით მხეიძის წერილი და ნახავო.

მეც წავიკითხე და თავი მოვალედ ჩავთვალე, გამოვხმაურებოდი.

არ შევედავები წერილის ავტორს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში გიორგი ასანიძის გამონათქვამების კრიტიკაზე, მით უმეტეს, რომ ფრაზას — „ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არ არის კონკრეტული ადამიანებისთვის პრობლემების მოგვარება“ — თვითონაც ვუსაყვედურებდი. როგორ შეიძლება, არსებობდეს „ეტაპი“, რომელზეც, ხელისუფლისათვის, ადამიანების (თუნდაც „კონკრეტულისათვის“ძ პრობლემების მოგვარება უპირველესი მიზანი არ იყოს! მაგრამ სხვათაგანაც მრავალჯერ მოსმენილი და ბატონი დავითის მიერ კიდევ უფრო ხაზგასმული ერთი ჭორის გამო ნამდვილად ვერ დავდუმდები.

თურმე გიორგი ასანიძის „უკაცურობის“ მიზეზი მისი სომხობა (ცუდი სომხობაძ ყოფილა.

არ გამოვიდებ თავს გიორგის დასაცავად. ამას იგი თვითონ მოახერხებს ჩემზე უკეთ, მაგრამ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი სომეხი არ არის — არც ცუდი და არც კარგი!

დედამისი (გიორგი სწორედ დედის გვარს ატარებსძ წმინდა ქართული გვარის ქალია, მამამისია ჯემალ ხვთისიაშვილი. მართალია, ხვთისიაშვილები ერთხანს ხვთისიევებად იწოდებოდნენ, შემდეგ ისევ ხვთისიაშვილობას დაუბრუნდნენ (ეს მოსაწონი საქციელი არ არის. რაღაც პრივილეგიების გამო ყველა ქართველს რომ გვარი გადაეკეთებინა, სადამდე მივიდოდით?ძ, მაგრამ აქ არც გიორგი არაფერ შუაშია და არც მამამისი. ეს ამბავი მათ გაჩენამდე დიდი ხნით ადრე მოხდა.

თვითონ გვარის — ხვთისიევის (ღვთისიევისძ წარმომავლობა რომ სომხური იყოს, წარმოუდგენელია. სიტყვა „ხვთის“ („ღვთის“ძ იგივე მნიშვნელობით ხმარება სომხურ ენაში, საერთოდ, არ უნდა იყოს.

ამდენად, გიორგი ასანიძე ვერც „ღამურა“ იქნება და ვერც რუბენი, მეორე სახელად ფრჩხილებში რომ არის ჩასმული. ეს სახელი გიორგის არც ახლო და არც შორეულ ნათესაობაში არავის ჰქვია.

და მაინც, გიორგია თუ რუბენი, კარგი სპორტსმენი რომ არის, ამაში ხომ არავინ შემედავება.

დიახ, კაცობა ნებისმიერ შტანგაზე მძიმეა, მაგრამ არც სიმართლეა უფრო მსუბუქი და კაცი, რომელიც „ნა ნეგო სერდილსია“, წყენისგან კორექტულობის ზღვარს არ უნდა აბიჯებდეს.

**თამაზ ლაშხი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
საჩხერე

ინფორმაცია

## გამარტივებული სავიზო რეჟიმი დამტკიცებულია

**ევროპარლამენტმა** საქართველო-ევროკავშირს შორის გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმება დაამტკიცა.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის ვიზებს გამარტივებული წესით მიიღებენ.

ოფიციალური ინფორმაციით, შეთანხმება გაამარტივებს მექანიზმებს და შეამცირებს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის მოკლევადიანი ვიზების მისაღებად სჭირდებათ.

ვიზები განაცხადის შეტანიდან 10 დღის განმავლობაში გაიცემა და ის 35 ევრო ეღირება. ვიზის საფასურს არ გადაიხდიან სტუდენტები, ჟურნალისტები, პენსიონერები, 12 წლამდე ასაკის ბავშვები, უმწეოები, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ლეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უახლოესი ნათესავები და კიდევ რამდენიმე კატეგორიის ადამიანები.

ევროპარლამენტის კომისიის წევრის სესილია მალმშტორმის განცხადებით, აღნიშნული საქართველოსა და ევროკავშირს კიდევ უფრო დააახლოებს.

— 2008 წელს საქართველოში მომხდარი ომის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წინ წავწიოთ ურთიერთობა საქართველოსთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების კუთხით. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს კიდევ უფრო დააახლოებს. ამ შეთანხმებით ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში გადაადგილება გახდება სწრაფი და იაფი საქართველოს მოქალაქეებისთვის, — განმარტა ევროპარლამენტის კომისიის წევრმა.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

დისკუსია

# გვახსოვდეს ჯავახეთი!

**„ჯავახეთის ისტორია და თანამედროვეობა,“ — ამ თემაზე გაიმართა სამეცნიერო დისკუსია, რომლის ინიციატორიც იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა. დისკუსიის მონაწილეებს მიმართა მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა და ხაზი გაუსვა თემის აქტუალობას დღევანდელი საქართველოსთვის, რომ დემოგრაფიული პრობლემების გარდა ჯავახეთი ჩვენთვის ტრაგიკული მხარეცაა, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ.**

„სამწუხაროდ, ჯავახეთი უგულისყუროდ დავტოვეთ, — აღნიშნა დისკუსიის წამყვანმა, პროფესორმა **ნანა ხაზარაძემ**, — მიწაც ადამიანივითაა, სანამ გახსოვს, ცოცხლობს, თუ დაივიწყე, მოკვდება. უნდა გვახსოვდეს ჯავახეთი და მისი ისტორია, რათა მუდამ ცოცხლობდეს. ამ მხარეს ჩვენი საზოგადოების ყურადღება სჭირდება.“

ნანა ხაზარაძემ დისკუსიაში მონაწილეებს დევი ბერძენიშვილის მონოგრაფია ჯავახეთზე და მისი სტატია „ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფია“ გაახსენა. ამ წიგნებში აღდგენილია ჯავახეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდეო. მეცნიერული სიზუსტით წარმოდგენილი მდიდარი ისტორიული ფაქტები ახალქალაქსა და მთლიანად ჯავახეთს გვიხასიათებს, როგორც დიდი წარსულის მქონე, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს უმნიშვნელოვანეს და ქართული კულტურის სანიმუშო რეგიონს.

ჯავახეთი საქართველოს უძველესი მხარეა. ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სახლობდნენ ქართველები — მესხები. ძვ. წ. VIII საუკუნეში ურარტულ წყაროებში მოხსენიებულ ქვეყანა „ზაბახას“, ანუ ჯავახეთს მძიმე ბრძოლები ჰქონდა ურარტელებთან. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც. ამ დროს არანაირ სომხურ ეთნოსზეც კი არ არის ლაპარაკი.

საუკუნეთა განმავლობაში მესხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეული არსებობდა: დიაოხი, ზაბახა, ვიტეროხი, კლარჯეთის, წუნდის და ოძრხის საერისთავოები, ქართველთა სამეფო, ანუ ტაო-კლარჯეთის სამთავრო, სამცხე-საათაბაგო, ახალციხის საფაშო. IX-X საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე წარმოიქმნა ბაგრატიონთა სამეფო - ცენტრით არტანუჯი.

XII-XIII საუკუნეებიდან მესხეთი საქართველოს სამეფოს დიდმოხელე ერისთავთა, სამცხის სპასალარ ჯაყელ-ციხისჯვარელთა სამფლობელო იყო. ამ საგვარეულოს მიერ ათაბაგის სახელოს დამკვიდრების შემდეგ საათაბაგოდ იწოდებოდა (ცენტრი ახალციხე). XVI საუკუნეში მესხეთი ოსმალებმა მიიტაცეს და იქ ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული — ახალციხის საფაშო შექმნეს. ისტორიული მესხეთის ნაწილი — სამცხე და ჯავახეთი საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად. მაგრამ 1830 წელს, 65 ათასი გამაჰმადიანებული ქართველის თურქეთში გადასახლების შემდეგ, რუსებმა აქ სომხები შემოასახლეს, რომელთაც მაშინვე დაიწყეს ქართული ეკლესიების გასომხურება.

პროფესორმა **ბონდო არველაძემ** აღნიშნა, რომ პრობლემა გამწვავდა მე-19 საუკუნიდან, როცა თბილისში დაშნაკების პარტია შეიქმნა. მათ პრეტენზია გამოთქვეს ჯავახეთზე. დაშნაკთა პარტიის მიზანი იყო „დიდი სომხეთის“ — ზღვიდან ზღვამდე აღდგენის ეტაპობრივი გეგმა.

მათი გზის გამგრძელებლებად ასპარეზზე ამჯერად ახალი თაობის წარმომადგენლები გამოჩნდნენ, რომელთა შორის სხვადასხვა დარგის არაპროფესიონალებმა იმძლავრეს. წარსულის ობიექტური შესწავლის ნაცვლად, წინამორბედი და უფროსი თაობის მიერ გაყალბებული ისტორიის ბაზაზე დაშნაკური იდეების პროპაგანდას მიჰყვეს ხელი. სიცრუე, სიყალბე, არაკომპეტენტურობა ამ ე.წ. „მკვლევართა“ დამახასიათებელ ნიშნად იქცა.

„ჯავახეთი, რომელიც შუასაუკუნეებში ქართველთა საუფლისწულო მამული იყო, სომხებმა საკუთარ მიწა-წყლად გამოაცხადეს. მე ვნახე 1985 წლის სახელმძღვანელო „სომეხი ხალხის ისტორია,“ სადაც ჩაწერილია, რომ ჯავახეთი სომხური მიწაა, რომელიც ქართველებმა მიიტაცეს. ეს ძალზე მტკივნეული პრობლემაა. აუცილებელია ქართველმა მეცნიერებმა — ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, ეთნოგრაფებმა... დაწერონ ინგლისურად ჯავახეთის ისტორია ზაბახადან დღემდე და გაავრცელონ. სამწუხაროდ, ეს უკვე მოიმოქმედეს სომხებმა და ინგლისურად დაწერილი ე. წ. ისტორია მთელ მსოფლიოს მოჰფინეს,“ — აღნიშნა ბონდო არველაძემ.



პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** ისაუბრა ჯავახეთის ტოპონიმიკაზე, რომ სომხების მცდელობის მიუხედავად, წაშალონ ქართული კვალი, უამრავი ტოპონიმი არსებობს, რომლის მიხედვითაც ეს მხარე ძირძველი ქართული მიწა-წყალია, რასაც თუნდაც გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც მოწმობს.

პროფესორმა **ვალერი სილოგავამ** ყურადღება გაამახვილა ჯავახეთის ეპიგრაფიკაზე, რომელიც საერთო ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ნაწილს წარმოადგენს. ამის დამადასტურებელია 300-მდე წარწერა, ხოლო სომხური წარწერები მე-19 საუკუნიდან ჩნდება.

პროფესორმა **თინათინ იმედაშვილმა** აღნიშნა, რომ სომხებს უნდათ 640-მდე ქართული ეკლესია თავისიანად გაასაღონ. ამ საქმეში მათ მხარს უმაგრებს ეჩმიაძინი და სომხეთის ხელისუფლება. ეკლესიების მითვისება დღესაც გრძელდება, დასძინა იმედაშვილმა. მან ინიციატივაც გაახმიანა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნას კომისია, რომელიც ჯავახეთში არსებულ ძეგლებს დაიცავს ამ „მიმთვისებელთაგან.“

დისკუსიაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ქალბატონები: **ნინო ჩირგაძე, ლია მელიქიშვილი...**

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქართველთა ბედოვლათობით სხვები საკუთარ საქმეებს აგვარებენ. საჭიროა აქტიური ქმედება ამგვარ ვაი-მეცნიერთა წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით ხელისუფლებასაც მართებს საკუთარი სიტყვის გახმიანება. სამწუხაროდ, ხელისუფლება პასიურობს, მაგრამ დადგა დრო, როდესაც სათქმელი პირუთვნელად უნდა ითქვას.

**ქალბატონი ნანა ხაზარაძის იდეაა ჯავახეთის თემას მიეძღვნას საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, სომეხი და სხვა უცხოელი მეცნიერები. სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს. ახლა გაჩუმების დრო აღარ არის...**

**თამარ შაიშმელაშვილი**

წკეპლიკა

## პროცენტებისა მჯეროდეს, დოლარებისა მრცხვენოდეს?..

**ჟურნალისტური შეთხზვა რომ არ დამაბრალონ, დავასახელებ ამ მცირე პუბლიკაციის წყაროს: 9 დეკემბერი, 18 საათი, „რუსთავი-2“, „კურიერი“, ჩვენთვის მუშაობდა ნინო გაზდელიანი...**

**საინფორმაციო გადაცემის დაწყება და ტრაბახის კორიანტელის დაყენება ერთი იყო — როგორ ლიდერობს ყოჩაღი საქართველო 86 „შემოწმებულ“ ქვეყანას შორის არაკორუმპირებულობის დონით; რა დაბალია, ამ კუთხით შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი — სულ რაღაც 3 იმ, მაგალითად 26-ის საპირისპიროდ, როგორიც სამგზის წყეულ რუსეთშია დადასტურებული, რომელიღაც საერთაშორისო პრესტიჟული „ინტერნეიშენალის“ მიერ; როგორ ვიწონებთ თავს მოწინავე დასავლური ქვეყნების გვერდით და ა.შ. (ამ დროს აშშ სულ არ უხსენებიათ...).**

**თუმცა რატომ ა. შ. — ბოლომდე გავშალოთ: რა თავისუფალია ჩვენში ყოველგვარი მომსახურება ქრთამის გადახდისგან და როგორ პირველ რიგებშია „მოუქრთამავადებს“ შორის ქართული პოლიცია და ჯარი.**

**არადა იმავე გადაცემის ბოლოს, იმავე ნინოს ენა-პირით, „გაგვიშუქეს“ კორუფციული ცოდვისათვის დაკავებული პოლიციის მაიორის შემთხვევა (რა მნიშვნელობა აქვს იმის სახელგვარს), რომელსაც 500 დოლარი აუღია ამა და ამ საქმეში (რა მნიშვნელობა აქვს, რაში).**

**ეს უკვე მეორეჯერაა, რომ ერთსა და იმავე საინფორმაციო გადაცემაში ლაპარაკია, ერთი მხრივ, საქართველოში შექმნილ არაკორუმპირებულ სამოთხეზე, მეორეს მხრივ მისახელებენ კორუმპირებულ პოლიციელ ჩინოსანს, მაიორის ჩინით! (პირველ ჯერზე ადრე წერდა ჩვენი გაზეთი, „იქ“ მინისტრის მოადგილე „ფიგურირებდა“...).**

**ამგვარი ალოგიკურობა თუ კურიოზულობა ან გადაცემის მომზადებისას ვერ შენიშნეს, ან თვით მსჯელობისას, რომ „ის სამოთხე“ ცოტა ხანს მაინც შეგვრგებოდა „უმაიოროდ“ და მაგალითი გვიან შეგვეტყო? ეს ტელევიზიაა თუ „შტერევიზია“?..**

**ლუკა გორგაძე**

ათი წლის გადმოსახედიდან

# ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნება

**საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია და მისი დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს და საქართველოს მთელ მოსახლეობას გილოცავთ კარსმომდგარ 2011 წელს, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მამულის გამთლიანება-აღორძინებას!**

საინიციატივო ჯგუფმა პოლკოვნიკ გივი იასეშვილის ხელმძღვანელობით, 2001 წლის იანვარში საინჟინრო აკადემიის ბაზაზე, რომლის პრეზიდენტი იყო აკადემიკოსი ივერ ფრანგიშვილი, სამხედრო-სამეცნიერო განყოფილება დააარსა, რომელსაც პოლკოვნიკი გოგი თავაძე ხელმძღვანელობდა და რომელსაც უკვე წარმატებული არსებობის ორწლიანი ისტორია გააჩნდა... სამხედრო აკადემიის სტრატეგიული კურსია ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნება და მისი გავლენა შეიარაღებული ჯარების და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე.




სამხედრო აკადემიის მიღწევები და სამომავლო მიზნები დაწვრილებით არის აღწერილი აკადემიის პრეზიდენტის გივი იასეშვილის საიუბილეო წიგნში „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“, 2009 წ., რომელსაც ბატონებმა ნოდარ ჭითანავამ, გივი ბარკალაიამ, ელვერ კუპატაძემ, ნოდარ ნათაძემ, მამუკა გოგიტიძემ, სოსო ცინცაძემ, ელგუჯა მექმარიაშვილმა, როინ მეტრეველმა და გიორგი კვესიტაძემ ჯეროვანი რეცენზიები და გამოხმაურებები მიუძღვნეს. წიგნი წარმოადგენს ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვითი სისტემის უკეთ მოწყობის სახელმძღვანელოს.

სამხედრო მეცნიერების აკადემიის ბაზაზე 2007 წლის 17 აპრილს ოფიცერთა კავშირთან დაარსდა საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი იური ნებიერიძე.

გეოპოლიტიკა — ესაა მეცნიერება მართვის შესახებ. გეოპოლიტიკა მსოფლმხედველობაა, საერთაშორისო ურთიერთობების გადასინჯვაა, რომელიც დიდი სახელმწიფოების ლიდერებს აძლევს სამოქმედო გეგმას, თუ როგორ შეიძლება ტერიტორიის უკეთ შენარჩუნება და ექსპანსიის განხორციელება. იგი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ქვეყნის საერთაშორისო და სამხედრო დოქტრინა.

გეოპოლიტიკის მთავარ ძალას წარმოადგენს ფუნდამენტური დუალიზმი, რომელშიც ასახულია მსოფლიოს გეოგრაფიული მოწყობისა და ცივილიზაციების ისტორიული ტიპოლოგია. გეოპოლიტიკა ეს არის მომავლის მეცნიერება. გეოპოლიტიკური ანალიზით ადვილია ქვეყნებისა და ხალხების ისტორიული განვითარების მთელი ეპოქების გააზრება.

აღიარება და დაფინანსება, — ამ თვალსაზრისით უნდა განვითარდეს სამხედრო აკადემიის მომავალი. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ხომ ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნების განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას და ფინანსურ სახსრებს უთმობენ.

ინფორმაციული უსაფრთხოება განაპირობებს კიბერუსაფრთხოებას. მსოფლიოში უკვე შეიქმნა პირველი კიბერიარაღი. ვიდრე საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა შექმნის სპეციალურ სამთავრობო ორგანოს, რომლის მიზანი იქნება ეროვნული კიბერუსაფრთხოების დაცვა, მიზანშეწონილია ეს მოვალეობა დაეკისროს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიას.

* * *

პოლკოვნიკი გივი იასეშვილი ახლახან აირჩიეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, რომლის პრეზიდენტია ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერი ბატონი ლეო ჩიქავა.

**სოსო დიდებულიძე**

ინფორმაცია

## ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს პატრონი გამოუჩნდა

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი შოვნაძემ, „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის“ დირექტორმა ნათია ჯორჯიკიამ და „კავკასიის ბუნების ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა საგრანტო დაფინანსების შეთანხმებას მოაწერეს ხელი.**

**შეთანხმების მიხედვით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდასაჭერად 2011 წლის იანვარში „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ ერთი წლით გამოყოფს 75 000 აშშ დოლარის საგრანტო დაფინანსებას, რომელიც მოხმარდება ეროვნული პარკის მოვლას და მიმდინარე ხარჯების დაფარვას.**

**საგრანტო დაფინანსების შეთანხმების ფარგლებში დაცული ტერიტორიების სააგენტო და „საქართველოს ბანკი“ მომავალი წლის განმავლობაში მოაწყობენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან დაკავშირებულ ერთობლივ გარემოს დაცვით ღონისძიებებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# პოლიტიკა მართლა ბინძური საქმეა?

**„პოლიტიკა ბინძური საქმეა“ – ხშირად ისმის არა მარტო პოლიტიკაში გაცნობიერებულთა მხრიდან, არამედ ფართო ფენებიდანაც, ხალხს მოსწონს ეს გამონათქვამები და ამიტომაც სისტემატურად მიმართავს მას პოლიტიკოსის თუ ქვეყნის პოლიტიკის დასახასიათებლად. პოლიტიკაში ნებისმიერი იდეა ან ინტერესი რეალიზდება მრავალ სხვა ინტერესთან კომპრომისის შედეგად. ასეა სხვაგან და არა ჩვენთან, ახალი საქართველოს მიერ განვლილმა ოცწლიანმა გზამ გვაჩვენა პოლიტიკის მანკიერება, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს ვთქვათ – „პოლიტიკა ბინძური საქმეა“.**

ის, რასაც ბოლო წლებში აქვს ადგილი, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს არა მარტო ერთპარტიული სისტემის და პიროვნების მმართველობის ზეობად, დიქტატორული მომენტების ჭარბი გამოვლინებით, არამედ კუზში აყვანილი ტყუილით. უწინაც და დღესაც ხელისუფლება და მისი ლიდერი უკადრებელს კადრულობდა, როგორც საკუთარი ხალხის, ისე უცხოელის გასაბრუებლად. რომელი ერთი გავიხსენო – მილიონი სამუშაო ადგილი თუ რეფორმატორობაში საქართველოს მსოფლიო ჩემპიონობა.

რეფორმატორობასთან დაკავშირებული ტყუილით დღევანდელები მართლაც ჩემპიონები არიან. რეფორმატორები მედიცინაში, ეკონომიკაში, განათლების სისტემაში... მაგრამ თუ რამეში არიან რეფორმატორები, ტყუილი და PR კომპანიაა. იმაში, რაც შევარდნაძემ, ხალხის თვალში ნაცრის შეყრის დიდოსტატმა ვერ მოიფიქრა, მისმა გროსმაისტერმა მოსწავლემ სააკაშვილმა მწვერვალებს მიაღწია. როგორც ჩანს მასწავლებელს ენანებოდა ამ საქმისთვის ბევრი ფულის დახარჯვა, მოსწავლეს – არა. ის სწორედ PR-ზე აგებს საკუთარ, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. განსაკუთრებული ყურადღებაა გადატანილი უცხოთა თვალში ნაცრის შეყრაზე. ეს პროცესი ერთობ შრომატევადი და, რაც მთავარია, ძვირია, მაგრამ შედეგი – ფასდაუდებელი. ასე ითხზება ზღაპრები საქართველოს ახალგაზრდა რეფორმატორებზე, დემოკრატიაზე, ეკონომიკის სიჯანსაღეზე და სხვა. ასე ეხვევა თავს საქართველოს მოსახლეობას უცხოელთა თვალით აღქმული ქართული „საოცრებები“. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ამერიკული მანქანა კარგად იყოს და ისეთ საარაკო წარმატებებს მოვისმენთ ჩვენს თავზე, რომ „გული სიამაყით აგვევსება“. **ამერიკული მანქანა ყველაფერს კადრულობს საკუთარი ჟილისათვის მმართველობის განსამტკიცებლად. ამ შემთხვევაში ორი კურდღლის ჭერასთან გვაქვს საქმე – სააკაშვილის დახმარებით საქართველოში ამერიკის პოზიციების განმტკიცებასთან და ქართული პოლიტიკის მხიდან მაღალი ქებისათვის „პატივის“ მიგებასთან, „პატივისცემა“ მიღებულია დემოკრატიულ უცხოეთში. სხვა აზრი არ გაგიჩნდება მსოფლიო ბანკის თაოსნობით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გაცნობის შემდეგ.**

გამოკითხვა განათლების სისტემას მიეძღვნა. გამოკითხულმა ქართველობამ დაადასტურა განათლების სისტემაში რეფორმების წარმატებით ჩატარება, ალტაცება მანდატურთა სამსახურის შემოღებასთან, სკოლაში უცხოელთა მოწვევასთან დაკავშირებით და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც მანკიერებად არის აღქმული ხალხში, გამოკითხვით შესანიშნავად მოიაზრება. ერთი გამოთქმისა არ იყოს – „ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო“, ასეა ჩვენი საქმე. ჩვენი „სტრატეგიული“ პარტნიორი არა მარტო სააკაშვილს და მისთანებს გვტენის, არამედ მათ მიერ გატარებულ „რეფორმებსაც“. რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა ის, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.

ავიღოთ ყბადაღებული მეორე მაგალითი – რუსეთთან ურთიერთობა. სააკაშვილი სტრასბურგიდან დაწყებული აცხადებს, რომ მზად არის რუსეთთან სალაპარაკოდ, თანაც ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. მან ფიციც დადო, რომ ძალით არ შეეცდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. სტრასბურგში დადებულ ფიცს არა მარტო სააკაშვილი იმეორებს, არამედ ისინიც ვინც დააძალეს მას ამის თქმა. მთქმელმაც და დამძალებლებმაც კარგად იციან, რომ რუსეთთან მოლაპარაკება არ იქნება, მაგრამ მთავარია სამშვიდობო დეკლარაცია და რაც მთავარია, მოსკოვთან დასავლელთა მოლაპარაკებისას წამოძახება – სააკაშვილის ინიციატივას



წიხლი პარტიით. სამშვიდობო მოწოდებით არა მარტო სააკაშვილი გამოდის, არამედ მერაბიშვილიც. „ეხო მოსკოვისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მანაც ის განაცხადა, რაც სააკაშვილმა. ეს სიტყვით. საქმით? მარტო ბოლო ორი თვის განმავლობაში საქართველოში რუსი „შპიონებისა“ და „ტერორისტების“ დაჭერამ მანამდე არსებული ყველა რეკორდი მოხსნა. დამნაშავე რუსეთი ყოველივეს სააკაშვილის მორიგ პროვოკაციად აღიქვამს და წამითაც არ ფიქრობს დაჭერილთა დასახსნელად, თვლის, რომ არაფერი აკავშირებს მათთან.

**რუსეთთან დალაპარაკების მსურველი სააკაშვილი, რატომღაც, დაპირისპირების ახალ ნაბიჯებს დგამს. რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, სურს თუ არა მოლაპარაკება. კონფრონტაციის გამწვავებით – დიალოგისაკენ, ასეთი რამ არ ახსოვს მსოფლიოს. ის, რაც ახსოვს, არის – დიალოგისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. და როდესაც ამას არ აქვს ადგილი სხვა მოსაზრება ჩნდება – სააკაშვილის მიერ კრემლისთვის გაწვდილი სამშვიდობო ხელი დასავლეთის სატყუარაა და მეტი არაფერი. მავანი უმალ დასვამს კითხვას – ნუთუ ასეთი გულუბრყვილოა დასავლეთი, რომ სააკაშვილის თაღლითობას ვერ ხედავს? ნამდვილად არა, თაღლითობა და ტყუილი სწორედ იქ იღებს სათავეს. სააკაშვილი დასავლეთის ნორჩი მოწაფეა. როგორც გითხარით, დასავლეთის ხელს აძლევს მსგავსი ქცევა რუსეთის წინააღმდეგ ქულების ჩასაწერად. არადა როგორ უნდა ჩამოართვას სააკაშვილს რუსმა ხელი,** როდესაც „პაჩკა-პაჩკა“ უჭერს „ტერორისტებს“ და „შპიონებს“, თანც **ვის? აშშ-ს საელჩოს ამფეთქებლებს. რა გამოდის – ტერორიზმით მობეზრებული რუსეთი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ამერიკასთან ჩახუტებული, თვით ყოფილა ტერორისტი? ვის შეუძლია თქვას ამის შემდეგ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმე არ არის? ან ავიღოთ ვიკილიკსის მიერ გამოქვეყნებული საიდუმლო დოკუმენტები, ამერიკელ დიპლომატთა მიერ შეთხზული.** „ევრონიუსის“ კორესპონდენტის უხერხულ შეკითხვაზე, ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა რის ვაი-ვაგლახით გასცა პასუხი. კითხვა ასეთი იყო – როდის იყო გულწრფელი ნატო, როდესაც ბალტიისპირა ქვეყნებს რუსული აგრესიის შესაკავებლად სარაკეტო თავდაცვის სისტემას სთავაზობდა თუ მაშინ, როდესაც რუსეთს სიყვარულში ეფიცებოდა? ნატო-რუსეთის ურთიერთობა ორივესთვის მნიშვნელოვანიაო და ვიკილიკსის მხილება ხელს ვერ შეუშლის ამასო – უპასუხა რასმუსენმა.

**რამდენად მისაღებია ერთი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მეორე ქვეყნისა და მისი ლიდერების უწმაწური სიტყვებით ლანძღვა. თან ყველა გზის ძებნა, მათ შორის ბიზნესისა, გალანძღულთან შესახვედრად? რუსული „ნეზავისიმაია გაზეტა“ ამას წინათ წერდა ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში სააკაშვილისა და რუსი ბიზნესმენის ანისიმოვის შეხვედრაზე.** შეხვედრის შესახებ არავინ იცოდა. შეხვედრისათვის სააკაშვილი ანისიმოვის მიერ გამოგზანილი თვითმფრინავით ჩავიდა ლონდონში. საუბრის თემა – საქართველო-რუსეთის შერიგება იყო. გაზეთის მიხედვით ანისიმოვი დაახლოებულია რუსეთის პრეზიდენტთან. შეესაბამება თუ არა ინფორმაცია სინამდვილეს? როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. თვით ანისიმოვმა, უარყო ეს ამბავი.

**„ბინძური პოლიტიკაა“, როდესაც ვითომ ურთიერთობის გამოსწორებას აპირებ, სინამდვილეში ძალას არ იშურებ ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის, ისეთის, რომლის შესახებაც ოქრუაშვილმა ილაპარაკა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში: „მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი კორიდორი მიგვეცა ჩეჩნებისათვის. მე წინააღმდეგი ვიყავი ჩეჩნებისათვის განკუთვნილი ფული ქართული ბანკის მეშვეობით გადაგვესროლა დანიშნულების ადგილას. მე წინააღმდეგი ვიყავი სამხედრო ბაზებზე ინგუშების მომზადების...“ გამოდის, რომ კრემლის მხრიდან საქართველოს ხელისუფალთა დადანაშაულება ჩრდილო კავკასიელ ბოევიკებთან თანამშრომლობაში, მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა. იძახონ ახლა წიკლაურებმა, დარჩიაშვილებმა, ნოდიებმა, სხვებმა, ცილისწამებააო. და ყოველივე ამის შემდეგ რა თავხედობამ უნდა გიბიძგოს „სამშვიდობო“ ხელის გაწვდისათვის?**

ქართული პოლიტიკისათვის წესად იქცა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ხელის ფათური. ჯერ იყო და უკრაინა ააყროლა გივი თარგამაძემ და მისმა რაზმმა, ახლაა და მოლდოვას მიადგა, იქაური გაზეთები იტყობინებოდნენ რევოლუციონერი გივისა და მისი დეზოშირების მოლდოვაში ყოფნის თაობაზე. მიზანი – არჩევნების შემდეგ ვითარების არევ-დარევა. **მოლდოური გაზეთები იმასაც წერდნენ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე კიშინიოვში სააკაშვილის ჩასვლა ანტირუსულად განწყობილი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გიმპუს პარტიის მხარდასაჭერად იყო გამიზნული. სააკაშვილის განცხადებით ვიზიტის ვადები ადრე იყო შეთანხმებული და არჩევნები არაფერ შუაშია. ამ დროს სააკვიზიები დაჟინებით გაჰკიოდნენ – ჩვენი მამა-მარჩენალის ჩასვლამ განაპირობა გიმპუს და მისი კოალიციის გამარჯვებაო. აჩქარდნენ. მსგავსს იქ ადგილი არ ჰქონია. გიმპუს, ისე, როგორც სააკაშვილს კრემლი არასასურველ პირად მოიხსენიებს. დაარწმუნებს ვინმე კრემლს, რომ ეს ვიზიტი მის წინააღმდეგ არ იყო მომართული?**

საქართველო, საერთაშორისო არენაზე შედარებით ახალი მოთამაშეა, მის თამაშს ყურადღებით ადევნებს თვალს „სტრატეგიული პარტნიორი“, პირველ დემოკრატად წოდებული აშშ. ადევნებს და ვერ ხედავს აღსაზრდელის ავანტიურას? ძნელი დასაჯერებელია. მაშ, რაშია საქმე? იმაში, რომ მისი პოლიტიკა ისეთივე „ბინძურია“, როგორც აღსაზრდელის, თუმცა სიტყვა „პოლიტიკა“ არაფერ შუაშია. ის შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც იმისდა მიხედვით, ვინ აწარმოებს მას. უწმინდურის მიერ წარმოებული პოლიტიკა წმინდა ვერ იქნება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## დედამიწის ზურგზე




**ბრიტანული „დი დეილი ტელეგრაფი“ ხედავს კონფლიქტის საბაბს: პუტინი შეიძლება გააბრაზოს ჟურნალის ჟდამ კაბაევათი**

**ჟურნალ „ვოგუეს“ რუსული გამოცემის ახალმა რედაქტორმა ვიქტორია დავიდოვამ 2011 წლის იანვრის ნომერში ჩასვა პუტინის „შეყვარებული“, გვიამბობს ბრიტანული გაზეთი. რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ადრეც მოუწია უარეყო ხმები მასთან კავშირის შესახებ, მის პრეს-მდივანს კი – ხმები პუტინის განქორწინების შესახებ.**

* * *

**ავსტრალიის სანაპიროს კლდეებთან დაიმსხვრა ნავი არალეგალებით: დაიღუპა 30 კაცი**

**ხალხით სავსე ნავი გადაბრუნდა და დაიმსხვრა შობის კუნძულის კლდეებთან. იმიგრანტების მოქალაქეობა არ დაუდასტურებიათ. ცნობილია, რომ ისინი კუნძულზე მიემგზავრებოდნენ, სადაც არის იმიგრაციული ცენტრი, რათა მიეღოთ თავშესაფარი ავსტრალიაში.**



* * *

**აშშ-ში ხანდაზმულმა ქალმა საშობაო ლატარიაში 89 მილიონ დოლარზე მეტი მოიგო**

**მაგრამ ამ თანხის სრული მიღებისთვის 64 წლის შეილე ვერკეს მოუწევს კიდევ იცოცხლოს 30 წელი. მან უპირატესობა მიანიჭა იმას, რომ არ დაწვრილმანდეს და აიღოს მხოლოდ 49,9 მილიონი, მაგრამ უმალვე (ასეთია წესი). წარმატება მას მოუტანა მისი დაბადების დღისა და ორი შვილის დაბადების კომბინაციამ.**



* * *

**ჟანგბადს, წყალბადსა და კიდევ რვა ელემენტს პირველად ისტორიაში ეცვლება ატომური წონის მაჩვენებლები**

**ამიერიდან ისინი განისაზღვრებიან არა ზუსტად განსაზღვრული სტანდარტული სიდიდით, არამედ ერთგვარი ინტერვალით ორ მაჩვენებელს შორის. განსაზღვრულია ცვალებადობა გაზომვის გაზრდილი სიზუსტისა და პრაქტიკული მოთხოვნებით, აღნიშნავენ იდეის ავტორები.**



# შპს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის“ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## კარი პირველი არბიტრაჟი

### მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

1.1 „არბიტრაჟი“ – ერთი ან რამდენიმე წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

1.2 „არბიტრი“ – არბიტრაჟის წევრი;

1.3 „სპორტული არბიტრაჟი“ – შპს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი“

1.4 „არბიტრაჟის თავმჯდომარე“ – შპს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი“ თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

1.5 „კანონი“ – საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“;

1.6 „სასამართლო“ - ამ დებულების მე-3, მე-4, მე-10 და მე-12 მუხლებისათვის – ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს სარბიტრაჟო განხილვა; მე-8, მე-18 და მე-20 მუხლებისათვის – სააპელაციო სასამართლოები.

1.7 „დავა“ – კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა არბიტრაჟს;

1.8 „მხარეები“ – საარბიტრაჟო მოსარჩელე და მოპასუხე;

1.9 საარბიტრაჟო მოსარჩელე – მხარე, რომელიც დავას განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს;

1.10 „მტკიცებულება“ – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას;

1.11 „საარბიტრაჟო განხილვა“ – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა;

1.12 „საარბიტრაჟო შეთანხმება“ – დავამდელი ან დავის შემდგომი წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.

1.13 „დებულება“ – არბიტრაჟის დებულება.

### მეორე 2. ზოგადი დებულებები

2.1 სპორტული არბიტრაჟი არის დავების განმხილველი დაწესებულება, რომელიც კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ კერძო ხასიათის ქონებრივ დავას, მოქმედი კანონმდებლობის და დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, თუ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.2 სპორტული არბიტრაჟი ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

2.3 დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე, სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) უფლებამოსილია განახორციელოს კანონითა და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება.

2.4 მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

2.5 მხარეები იწყებენ დავის წარმოებას სპორტულ არბიტრაჟში, დებულებაში და კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის გზით.

2.6 მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. საარბიტრაჟო მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო სარჩელზე, ხოლო მეორე მხარეს – ცნოს საარბიტრაჟო სარჩელი.

2.7 საარბიტრაჟო დავის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2.8 მხარეებს უფლება აქვთ მათთვის კანონით და ამ დებულებით მინიჭებული გადაწყვეტილებების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირებს.

2.9 სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.10 ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას ან უკვე დანიშნული არბიტრების შეცვლას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.11 საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.12 მხარეებს, აგრეთვე არბიტრაჟს, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2.13 არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან სპორტული არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, კანონის მოთხოვნათა დაცვით. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვებელია.

2.14 თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრი იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

### მუხლი 3. საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟის კომპეტენცია

3.1 საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ სპორტულ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

3.2 საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით.

3.3 საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

3.4 საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა.

3.5 საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

3.6 საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

3.7 ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.

3.8 თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის 3.4-3.6 პუნქტები.

3.9 არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

3.10 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.

3.11 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.

3.12 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

3.13 თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გამოტანიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

### მუხლი 4. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება

4.1 სპორტული არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან.

4.2 არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.3 თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.4 თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.

4.5 არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით.

„4.6 თუ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნეს შპს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის“ მიერ, მაშინ დავის განმხილველი არბიტრაჟი უნდა შეიქმნას ამ მუხლით დადგენილი წესებით, თუ მხარეთა შეთანხმება პირდაპირ არ ითვალისწინებს სხვა წესებს.

ა) სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას და არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის ან არბიტრაჟის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშვნიდან 10 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

ბ) ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში. ხოლო თუ მხარეთა შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს არბიტრის დანიშვნას სპორტული არბიტრაჟის მიერ, მაშინ არბიტრს ნიშნავს სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობიდან არაუმეტეს 3 დღის ვადაში.“

4.7 მხარეთა შეთანხმების არარსებობისას:

ა) სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის ან არბიტრაჟის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშვნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

ბ) ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

4.8 ამ მუხლის 4.6 და 4.7 პუნქტებით გათვალისწინებული არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4.9 პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არბიტრის დანიშვნისას არბიტრაჟმა (სასამართლომ) უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

4.10 არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

4.11 მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.

4.12 მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4.13 არბიტრის მიერ უარის თქმა თავისი მოვალეობის შესრულებაზე ან მხარის თანხმობა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არ გულისხმობს 4.12 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან აცილების კანონით და/ან დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან მათ აღიარებას.

4.14 ყოველი პირი მის არბიტრაჟის წევრად დანიშვნაზე იძლევა წერილობით თანხმობას. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე.

4.15 მხარის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ არბიტრთან სპორტული არბიტრაჟი დებს ხელშეკრულებას.

4.16 არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

4.17 მხარეს უფლება არა აქვს ერთპიროვნულად შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი.

4.18 დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის:

ა) ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;

გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა.

4.19 მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

4.20 მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

4.21 პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშვნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლოებას.

4.22 მხარეებს, ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე.

4.23 მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

4.24 ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

4.25 სასამართლოს დებულების 4.23 და 4.24 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ასეთ შემთხვევაში არბიტრს უფლება აქვს, გამოაცხადოს თვითაცილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდეც. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე, და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

4.26 აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

4.27 არბიტრაჟის შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესაური კავშირი მაინც აღმოჩნდა, ისინი უნდა ჩამოცილდნენ დავის განხილვას.

4.28 თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

4.29 აცილების განცხადების შემდეგ არბიტრაჟმა შეიძლება მოუსმინოს მხარეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება. აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს სათათბირო ოთახში.

4.30 არბიტრის მიერ უარის თქმის, შეცვლის ან აცილების შემთხვევაში ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით, რომელი წესების გამოყენებითაც იყო დანიშნული წინა არბიტრი.

4.31 არბიტრის ან არბიტრების შეცვლის შემთხვევაში, მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება უნდა განმეორდეს.

4.32 ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.

4.33 ექსპერტის, თარჯიმნისა და სპეციალისტის აცილების საფუძვლად არ ჩაითვლება დებულების 4.18 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დასახელებული გარემოებები.

4.34 არბიტრაჟს უფლება აქვს პატივსადები მიზეზების არსებობისას განაცხადოს თვითაცილება დავის

განხილვაზე, რის შესახებაც სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს განკარგულება ხოლო მხარეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი მასალები და საარბიტრაჟო შენატანი სრულად.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება.**

5.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

5.2 არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო შენატანი და დავის განხილვასთან, აგრეთვე, არბიტრაჟის გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.3 არბირტაჟის გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა მოპოვებასთან გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

5.4 საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი.

5.5 საარბიტრაჟო შენატანის გადახდევინება წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო სარჩელზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო სარჩელზე;

გ) განცხადებაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

დ) საჩივარზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

5.6. საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადაო საგნის ღირებულების 2,5 %-ს მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა.

50 000 ლარის ზევით დავის საგნის შემთხვევაში სადაო საგნის ღირებულების 2%-ს, ამასთან საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

5.7 5.5 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე და საჩივარზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შეადგენს 200 ლარს, (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით) თითოეულ მოთხოვნაზე განსახორციელებელ ღონისძიებაზე.

5.8 დავის საგნის ფასს მიუთითებს საარბიტრაჟო მოსარჩელე. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე.

5.9 თუ სპორტული არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავა გამომდინარეობს სხვადასხვა ვალდებულებებიდან (ხელშეკრულებიდან) და ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე ძირითადი დავა უკვე განხილულია არბიტრაჟის მიერ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა განისაზღვრება 300 ლარის ოდენობით, ხოლო თუ ძირითადი დავა განხილულია არა სპორტული არბიტრაჟის, არამედ რომელიმე სხვა ორგანოს მიერ, მაშინ ამ დავაზე სპორტული არბიტრაჟის მიერ თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში საარბიტრაჟო შენატანი განისაზღვრება სადაო საგნის ღირებულების 2%-ს

5.10 სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა საარბიტრაჟო სარჩელი.

5.11 თუ საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო შენატანის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს არბიტრაჟის თავმჯდომარე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, საქმის გადაწყვეტისას დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელის ფასის შესაბამისად.

5.12 ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

5.13 სპორტულ არბიტრაჟს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაანთავისუფლოს მხარე საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან.

5.14 ერთი მხარის ნაწილობრივ განთავისუფლება საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან, მეორე მხარის საარბიტრაჟო შენატანის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

5.15 სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან გაუნაწილვადოს არბიტრაჟის ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს მისი ოდენობა.

5.16 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნამდე, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა განახევრდება და მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შემცირდება 30%-ით, რაც უკან დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს. ამასთან, ასეთ შემთხვევებში საარბიტრაჟო შენატანი არ შეიძლება იყოს დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

5.17 თუ საარბიტრაჟო სარჩელზე უარის თქმა, საარბიტრაჟო სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

5.18 არბიტრაჟის ხარჯები (საარბიტრაჟო შენატანი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), დებულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საარბიტრაჟო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება არბიტრაჟის ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

5.19 თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ საარბიტრაჟო მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს — საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც საარბიტრაჟო მოსარჩელეს უარი ეთქვა.

5.20 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო მოსარჩელის თხოვნით არბიტრაჟი მოპასუხეს დააკისრებს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ გაწეული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურებას.

5.21 თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ურთიერთგანაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო – საპროცესო ვადები**

6.1 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით და დებულებით დადგენილ ვადაში.

6.2 კანონით ან დებულებით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.3 თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

6.4 თუ საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა კანონით ან დებულებით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და გადაწყვიტილების გამოტანისათვის მხარეების ან კანონის მიერ დაწესებული ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

6.5 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს ამ დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.

6.6 საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება მხოლოდ დღეებით.

6.7 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

6.8 ყველა დაუმთავრებელი საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება არბიტრაჟის დადგენილების გამოტანის დღიდან, შეჩერებული ვადის დენა განახლდება წარმოების განახლების დღიდან.

6.9 საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით, დებულებით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

6.10 არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

6.11 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის კანონით ან დებულებით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით ან დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს არბიტრაჟმა, თუ ცნობს რომ საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

6.12 განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება ამ ვადის გასვლამდე არბიტრაჟში. ვადის გასვლის შემდეგ ასეთ განცხადებას არბიტრაჟი მიიღებს, თუ ცნობს, რომ ვადის გასვლამდე განცხადების შეუტანლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

6.13 ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს ის საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის ვადაც გასულია.

6.14 განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ვადაში შეუსრულებლობა, აგრეთვე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

6.15 განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს არბიტრაჟი (სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე) მხარეთათვის შეუტყობინებლად.

6.16 საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

**მუხლი 7. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება**

7.1 არბიტრაჟი, არბიტრი ან სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო უწყებით (წერილობითი შეტყობინებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილს.

7.2 საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

7.3 მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს არბიტრაჟის შესაბამისი თანამშრომელი.

7.4 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული., წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება, თუ ის ადრესატს ჩაბარდა პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას.

7.5 საარბიტრაჟო შეტყობინება და საქმის მასალები ჩაბარებულად ითვლება თუ ისინი ჩაბარებული იქნა დებულების მე-7 მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

7.6 საარბიტრაჟო შეტყობინებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ საბუთების ასლებთან ერთად, გზავნილი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

7.7 საარბიტრაჟო შეტყობინების და გზავნილის სანიმუშო ფორმას და შინაარსს ადგენს სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე.

7.8 თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში (სპორტულ არბიტრაჟში) მეორე მხარისაგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი მიღებიდან 2 დღის ვადაში.

7.9 საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისთვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც არბიტრაჟს უნდა დაუბრუნდეს.

7.10 არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟი არ არის დანიშნული სრული შემადგენლობით ან ჯერ არ არის არჩეული არბიტრაჟის თავმჯდომარე, სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარეს, შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც დაევალა უწყების მიტანა, ვალდებულია უკან დააბრუნოს მისი მეორე ცალი უწყების მიღებაზე ადრესატის ხელმოწერით.

7.11 მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, უწყების მეორე ეგზემპლარზე მისი ხელმოწერით, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს სათანადო თანამდებობის პირს, რომელიც ასევე ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარს.

7.12 თუ უწყების მიმტანმა პირმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, - იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი, სახელი აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

7.13 თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა.

7.14 მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

7.15 თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

7.16 თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ამ დებულების 7.4 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელების გარდა არბიტრაჟი უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინება ჩააბაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ან/და განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით, რის შესახებაც არბიტრაჟს გამოაქვს განკარგულება. საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოსათვის მისი გადაცემიდან ან/და პუბლიკაციიდან ორი კვირის ვადაში.

**მუხლი 8. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა**

8.1 საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

8.2 მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არბიტრაჟი, ხოლო თუ დავის განმხილველი არბიტრაჟი შექმნილი არ არის სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს:

ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღდგენას;

ბ) ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;

გ) ღონისძიებების განხორციელებას იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

დ) მტკიცებულებების შენახვასა და შენარჩუნებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

8.3 მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის ამ დებულების 8.2 მუხლის „ა"-„გ" პუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

გ) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

8.4 ამ დებულების 8.2 მუხლის „დ" პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ 8.3 მუხლის „ა"-„გ" პუნქტების მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

8.5 არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

8.6 მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია მის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი შემდგომ დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

8.7 არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს, ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების საკითხს განიხილავს და წყვეტს იგივე ორგანო ან პირი, ვის მიერაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ აღნიშნული საკითხი დასმული იქნება დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნიდან დავაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაშინ საკითხს განიხილავს და წყვეტს დავის განმხილველი არბიტრაჟი. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ერთობლივი განცხადებით მომართავენ არბიტრაჟს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ, მაშინ აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე.

8.8 არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

8.9 არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

8.10 მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.

8.11 სასამართლოში ამ დებულების 8.2 მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მისი ცნობისა და აღსრულებისათვის წარდგენილ უნდა იქნეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

8.12 მხარეს ასევე შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

იხ. 8 გვ.

(მეშვიდე გვერდიდან)

# შპს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის“ დებულება

## კარი მეორე
## მხარეები

### მუხლი 9. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო ქმედუუნარიანობა

9.1 არბიტრაჟი დავის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების საარბიტრაჟო სარჩელის და შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, მის მიერ დავაზე კომპეტენციის ცნობის შემდეგ. მხარეებად არბიტრაჟში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

9.2 ერთ-ერთი მხარის ქმედუუნარობის შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს დავა მხოლოდ მაშინ, თუ ქმედუუნარო პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

9.3 თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა, რომ ერთ-ერთი მხარე ქმედუუნაროა და მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, არბიტრაჟი ვალდებულია შეაჩეროს საარბიტრაჟო განხილვა. საარბიტრაჟო განხილვა განახლდება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ.

9.4 მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

9.5 საარბიტრაჟო მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა.

9.6 დავის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ არბიტრაჟის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა.

9.7 საარბიტრაჟო სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება პრეტენდენტის მიერ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

9.8 დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც სარჩელის, საარბიტრაჟო შეთნხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს აცილებს.

9.9 მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე ადვოკატის ან უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

9.10 ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

9.11 ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

9.12 ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

9.13 მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილები შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებილი ყველა იურიდიული და საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

9.14 წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც არბიტრაჟს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან/და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით არბიტრაჟი დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

9.15 საარბიტრაჟო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) საარბიტრაჟო სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედეველ იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

9.16 თითოეული საარბიტრაჟო მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

9.17 თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

9.18 თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის (საქმის) წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

9.19 საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის ხდება ამ მუხლის 9.9 – 9.14 პუნქტების შესაბამისად.

9.20 თუ არბიტრაჟი საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია საარბიტრაჟო მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით, თუ სათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

9.21 თუ სათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, ან არასათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, არბიტრაჟი საარბიტრაჟო წარმოებს შეწყვეტს იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე, ან იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი განაცხადა სათანადო მხარით შეცვლაზე.

9.22 თუ შეცვლილ სათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე თანახმა არ არის მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი უსაფუძვლობის მოტივით წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

9.23 თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო სარჩელზე, მას შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ საარბიტრაჟო მოსარჩელსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

9.24 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის საარბიტრაჟო მოსარჩელეს საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

9.25 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელესა და სათანადო მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და სათანადო მოპასუხე არ არის თანახმა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას უსაფუძვლობის მოტივით.

## კარი მესამე
## მტკიცებულებები

### მუხლი 10. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

10.1 თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

10.2 ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

10.3 საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

10.4 საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს (სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

10.5 არბიტრაჟი (სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია ნებაყოფლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

10.6 კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

10.7 არბიტრაჟი არ მიიღებს, არ გამოითხოვს, საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

10.8 მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

10.9 არბიტრაჟისათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10.10 არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

10.11 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრაჟის შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

10.12 ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, არბიტრაჟმა შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

10.13 მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც არბიტრაჟი საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნავს;

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ან არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით, თუ საარბიტრაჟო დავის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ;

გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

10.14 თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში.

10.15 არბიტრაჟი ასევე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

10.16 მხარის განცხადება მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობითი ფორმით.

10.17 მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოსთვის დახმარების მიმართვის შესახებ მხარის წერილობით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს:

ა) მტკიცებულებანი, რომელთა მოპოვებაც აუცილებელია;

ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი;

გ)მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა სასამართლოს დახმარებით მოპოვების შესახებ;

დ) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი.

10.18 მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟი იღებს დადგენილებას, ხოლო სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე განკარგულებას. ასეთი დადგენილებით (განკარგულებით) შეიძლება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადები შეჩერდეს შესაბამისი მტკიცებულებების მიღებამდე.

10.19 მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის) წინაშე ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

### მუხლი 11. ექსპერტის დანიშვნა

11.1 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟს უფლება აქვს:

ა) დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით;

ბ) მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ ექსპერტს საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, გადასცენ ექსპერტს დათვალიერებისათვის ან მისცენ შესაძლებლობა დაათვალიეროს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან სხვა ნივთი.

11.2 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპერტის მიერ ზეპირი ან წერილობითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით სადავო საკითხებზე ჩვენებების მიცემის მიზნით მოიწვევს ექსპერტს საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადავო საკითხებზე ჩვენებების მისაცემად.

11.3 ექსპერტის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად.

11.4 ექსპერტების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ არბიტრაჟს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ დაინიშნოს ექსპერტად, წყვეტს არბიტრაჟი.

11.5 მხარეებს უფლება აქვთ აგრეთვე წარმოადგინონ კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს არბიტრაჟი.

11.6 ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

11.7 ექსპერტებს შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.

11.8 თუ ექსპერტის აზრით, არბიტრაჟის მიერ წინასწარ განსაზღვრული ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება დავის საგნის ღირებულებასთან შედარებით ან დიდად გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ ხარჯებს, ექსპერტი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ არბიტრაჟს.

11.9 ექსპერტის აცილება და თვითაცილება განხორციელდება არბიტრის აცილებისათვის ამ დებულების და კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

## კარი მეოთხე
## საარბიტრაჟო წარმოება

### მუხლი 12. საარბიტრაჟო განხილვის დაწყება და საარბიტრაჟო სარჩელი

12.1 თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება ამ დებულებით დადგენილი წესით, კანონის მოთხოვნათა დაცვით.

12.2 საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12.3 საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილია სპორტული არბიტრაჟის იურიდიული მისამართი.

12.4 არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილას მოიწვიოს სხდომა არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12.5 მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები. ამგვარი შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვა ხორციელდება ქართულ ენაზე. პირს, რომელმაც საარბიტრაჟო განხილვის ენა არ იცის, დაენიშნება თარჯიმანი. არბიტრაჟი ასევე უფლებამოსილია საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები დაადგინოს ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის ხელშეკრულების ენის ჯეროვანი გათვალისწინებით. მხარეთა შეთანხმება ან არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეხება აგრეთვე მხარეთა ნებისმიერ წერილობით განცხადებას, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, დადგენილებასა და საარბიტრაჟო წარმოებაში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა საბუთს. არბიტრაჟმა შეიძლება დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო წარმოების ენაზე (ენებზე).

12.6 საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო სარჩელი (სარჩელი), რომელიც მოსარჩელემ წერილობითი ფორმით უნდა წარმოუდგინოს სპორტული არბიტრაჟს, მასში მითითებული უნდა იყოს მხარეთა სახელები (სახელწოდებები) და მისამართები (ადგილსამყოფლები), მოთხოვნა, ის გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას, და საარბიტრაჟო სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა.

12.7 საარბიტრაჟო მოპასუხე მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე.

12.8 ამ მუხლის 12.6 და 12.7 პუნქტების დებულებები გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმებით სხვა მოთხოვნები არ არის დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის მიმართ, ან როდესაც ასეთი შეთანხმება არ არსებობს.

12.9 საარბიტრაჟო სარჩელს აუცილებლად უნდა ერთვოდეს ის დოკუმენტი, სადაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ და საარბიტრაჟო შენატანის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12.10 საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

12.11 სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან სამი დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით ცნოს არბიტრაჟის კომპეტენცია და მიიღოს დავა წარმოებაში ან არ ცნოს დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია და უარი თქვას მის მიღებაზე. არბიტრაჟი მიერ დავაზე კომპეტენციის ცნობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონის 16.5 მუხლის შესაბამისად და დებულების 3.13 მუხლის შესაბამისად.

12.12 საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ამ მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში

საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება. თუ საარბიტრაჟო სარჩელი შეტანილია დებულების 12.6 და 12.9 მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, სპორტული არბიტრაჟი (სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე) არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს და საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, სარჩელი შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 80%.

12.13. მიღებული საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს მოპასუხეს მისი წარმოებაში მიღებიდან ხუთი დღის ვადაში.

12.14 თუ საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელზე ამ მუხლის 12.7 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.

12.15 მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო სარჩელთან ან შესაგებელთან ერთად წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ.

12.16 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გაეგზავნოს არბიტრაჟის თავმჯდომარეს და ყველა არბიტრს, მათი არჩევის ან დანიშვნისთანავე.

12.17 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები, შესაგებელი ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად.

12.18 მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას საარბიტრაჟო მოსარჩელის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ:

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად გადაწყდება.

12.19 12.18 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.

12.20 შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენა შეიძლება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

12.21 სპორტული არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს, თუ:

ა) არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსამართლის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

დ) სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ე) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

12.22 სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განკარგულება.

12.23 სარჩელის მიუღებლობის შესახებ სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება ჩაბარდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო შენატანის 80 პროცენტი.

12.24 თუ საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ან შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა შესაძლებელია როგორც არბიტრაჟის მიერ, ასევე საერთო სასამართლოების წესით და მითითებული არ არის, რომ არჩევა ხდება მოსარჩელის მიერ, ან პირდაპირ არ არის მითითებული, რომ არბიტრაჟის შემთხვევაში დავას განიხილავს შ.პ.ს „საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი", რომელიმე მხარის მიერ საარბიტრაჟო სარჩელით მომართვის შემთხვევაში არბიტრაჟი შესთავაზებს მხარეს დავის შპს "საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი"-ს მიერ განხილვას. თუ მოპასუხე მხარე განაცხადებს თანხმობას, მაშინ არბიტრაჟი განიხილავს საქმეს, ხოლო თუ მოპასუხე უარს განაცხადებს, ან საერთოდ არ გამოეხმაურება არბიტრაჟის მიმართვას, მაშინ არბიტრაჟი საარბიტრაჟო სარჩელს თავისი დადგენილებით დატოვებს განუხილველს, ხოლო საარბიტრაჟო მოსარჩელეს უკან დაუბრუნდება მის მიერ შემოტანილი დოკუმენტები და გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 90%.

12.25 მხარეს უფლება აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განცხადების საფუძველზე გამოითხოვოს საქმე უკან. საქმის გამოთხოვის შემთხვევაში არბიტრაჟს, ხოლო თუ არბიტრაჟი შექმნილი არ არის სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარეს, გამოაქვს დადგენილება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. მხარის განცხადების საფუძველზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნამდე საქმის გამოთხოვის შემთხვევაში მხარეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 70%, ხოლო დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნის შემდგომ საქმის გამოთხოვის შემთხვევაში გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 50%.

## მუხლი 13. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა და მხარეთა გამოუცხადებლობა

13.1 თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე.

13.2 საქმის ზეპირი განხილვის დროს დგება ოქმი. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ძირითად მომენტებს. ოქმს ადგენს მდივანი საარბიტრაჟო სხდომაზე. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების შემდეგ. ოქმს ხელს აწერს არბიტრი და მდივანი. ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავდა, — ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი. არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები, რომელთა ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში. სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ სამი დღის განმავლობაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ უსწორობასა თუ უსრულობაზე.

13.3 თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა საარბიტრაჟო განხილვა უნდა იყოს დახურული. წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ უნდა იქნეს საჯაროდ გამოქვეყნებული ან გადაცემული და გამოყენებული სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში.

13.4 არბიტრი და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

13.5 არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს.

13.6 თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.7 თუ ამ კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

## მუხლი 14. საქმის მომზადება და განხილვა.

14.1 არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებით, ან რომელიმე მხარის მოთხოვნით საქმეზე უნდა ჩატარდეს ზეპირი განხილვა, საქმის განზილვა ხდება ამ მუხლში ჩამოყალიბებული წესების დაცვით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

14.3 არბიტრაჟის თავმჯდომარე ხსნის, უძღვება და ხურავს საარბიტრაჟო სხდომას.

14.4 თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

14.5 საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს და მტკიცებულებებს. თავმჯდომარის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.

14.6 მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე. არბიტრაჟი გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით.

14.7 თუ არბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მხარისგან.

14.8 მხარეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ არბიტრაჟი შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რაც წარმოებს კანონით და დებულებით დადგენილი წესით.

14.9 მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ იწყება მხარეთა პაექრობა. პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

14.10 მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ რეპლიკით გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ საარბიტრაჟო განხილვა ითვლება დამთავრებულად.

## მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

15.1 რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15.2 არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

15.3 გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს არბიტრაჟის თავმჯდომარემ, თუ მას შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული ექნება მხარეების ან ყველა არბიტრის მიერ.

15.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

15.5 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი.

15.6 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია ამ კანონის 15.9-15.11 მუხლების შესაბამისად.

15.7 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს.

15.8 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.9 თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი შეწყვეტს განხილვას. არბიტრაჟი, მხარეთა თხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას შეთანხმებული პირობებით.

15.10 არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

15.11 მორიგების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

## მუხლი 16. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა.

16.1 საარბიტრაჟო განხილვა წყდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟის დადგენილების საფუძველზე.

16.2 არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;

ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე;

გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

## მუხლი 17. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

17.1 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების მიღების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში:

ა) მოსთხოვოს არბიტრაჟს, გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

ბ) მხარეთა შეთანხმების არსებობისას მოსთხოვოს არბიტრაჟს, მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით.

17.2 არბიტრაჟმა, თუ იგი მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება ან უნდა მისცეს შესაბამისი განმარტება. ასეთი განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია.

17.3 არბიტრაჟი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში თავისი ინიციატივით გაასწოროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული შეცდომა.

17.4 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მოსთხოვოს არბიტრაჟს, გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში. არბიტრაჟმა, თუ იგი ამ მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 60 დღის ვადაში უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება.

17.5 არბიტრაჟს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია არა უმეტეს 30 დღით გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გაასწოროს შეცდომა, უნდა მისცეს განმარტება ან უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება ამ მუხლის შესაბამისად. თუ მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკვე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის განმავლობაში.

## მუხლი 18. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და შეჩერება

18.1 არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში. სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად.

18.2 სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით, უფლება აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა თავის მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა, რათა არბიტრაჟს მიეცეს საშუალება განხილვის განახლებისა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული საფუძვლით საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლო უწყებით ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში. ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ არბიტრაჟი განაახლებს საქმის განხილვას სასამართლოს მიერ მიცემული ვადით, კანონით და დებულებით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად.

## მუხლი 19. საქმის წარმოების შეჩერება და განუხილველად დატოვება

19.1 არბიტრაჟი (სპორტული არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელის საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს არბიტრაჟში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

გ) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგებზე;

ვ) არბიტრაჟმა დანიშნა ექსპერტიზა;

ზ) სხვა აუცილებლობის შემთხვევაში.

19.2 საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

19.3 არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვოს საარბიტრაჟო სარჩელი დებულებით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სპორტულ არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

## მუხლი 20. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

20.1 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე და 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

20.2 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

## მუხლი 21. გარდამავალი დებულებები

21.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2010 წლის 15 დეკემბრიდან.

21.2 დამტკიცებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ.

ჭადრაკი

# მინისტერიალსაც უმასპინძლეს და საუკეთესოებიც დაასახელეს



**ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა – სპორტის სამინისტროს და ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით 64-უჯრიან დაფებს სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები მიუსხდნენ. მინისტერიალის თასის მოსაპოვებლად 15 გუნდი იბრძოდა.** ქვეჯგუფებში წრიული სისტემით გამართული პაექრობების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოჭადრაკეებმა (დიდოსტატი თამარ წერეთელი, სპორტის ოსტატი რევაზ კაკაბაძე, პირველთანრიგოსანი ლაშა ჭანტურიაძ ნახევარფინალში 2,5:0,5 სძლიეს თავდაცვის სამინისტროს გუნდს, ფინალში კი ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს 3:0 მოუგეს და მთავარი პრიზიც დაისაკუთრეს. მესამე ადგილზე პარლამენტის ნაკრები გავიდა.

ჭადრაკის სასახლეში მასმედიის თასიც გათამაშდა. აქ პირველი ადგილი გაზეთ „მსოფლიო სპორტის“ მოჭადრაკეებმა (რამაზ გურგენიძე, თენგიზ ჩოხანიძე, დავით ბაკურაძეძ დაიკავეს. მეორე-მესამე ადგილებზე თავისუფალი ჟურნალისტები და „რუსთავი-2“ გავიდნენ.

ღონისძიების საზეიმო დახურვისას ჭადრაკის ფედერაციამ წლის საუკეთესო ნომინანტები დაასახელა: ნანა ძაგნიძე და ბაადურ ჯობავა (საუკეთესო მოჭადრაკეებიძ, მარიამ დანელია და ქეთი წაწალაშვილი (ახალგაზრდა ოსტატებიძ, ქალთა ნაკრები (საუკეთესო გუნდიძ, ლაშა ჯანჯღავა და ზურაბ სტურუა (წარმატებული მწვრთნელებიძ.

**ლექსო ცინცაძე**

ფარსის წინ

# იანვარიც მალე მოვა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ სფფ-ს მორიგი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 22 იანვარს გაიმართება.**

შეგახსენებთ, რომ უწინ ფედერაციას ხუთი თავკაცი ჰყავდა: ნოდარ ახალკაცი (უფროსიძ, მერაბ ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი (უმცროსიძ, გიორგი ნემსაძე (ერთი საათითძ და დომენტი სიჭინავა.

ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, დღესაც ვერ აცნობიერებს, როგორ მოახვედრეს „ნაციონალებმა“ ამ გაუგებრობაში, ამიტომ კითხვაზე – იყრის თუ არა კენჭს ერთ თვეში, ბუნებრივია, პასუხის გაცემას ჯერ არ ჩქარობს – დირექტივა ხომ „ოფიციოზმა“ უნდა მისცეს. რაც შეეხება დანარჩენ პრეტენდენტებს, მათ ვინაობას მალე შევიტყობთ და საუბარიც მერე განვაგრძოთ.

**გიორგი შოთაძე**

ფეხბურთი

# აფრიკული საოცრება

**ეტყობა, უკვე უნდა შევეგუოთ სტერეოტიპების მსხვრევის ეპოქის დაწყებას. თუ რას ვგულისხმობთ, ახლავე მოგახსენებთ.**

როგორც გულშემატკივარმა იცის, აქამდე გამართული ყველა საერთაშორისო საფეხბურთო ფორუმი, გარდა ოლიმპიურისა, ევროპელებმა და სამხრეთამერიკელებმა მოიგეს, თუმცა შორს არ არის ის დღე, როცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე „შავი კონტინენტის“ წარმომადგენლებსაც ვიხილავთ. ადვილი შესაძლებელია, ეს უახლოეს შაბათს აბუდაბის ახალ სტადიონზე მოხდეს, სადაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში აფრიკის სპორტულ ღირსებას კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი „მაზემბე“ დაიცავს.

ეს წარმატებები რომ შემთხვევითი არ არის, თვით აღნიშნულ ტურნირზე მისი მოხვედრაც ადასტურებს, მაგრამ ხომ გსმენიათ – მადა ჭამაში მოდისო.



არაბეთში ჩასულმა ახალგაზრდა მწვრთნელის ჯონ ნდიაეს შეგირდებმა სტარტზე მექსიკური „პაჩუკა“ მოინელეს – 1:0, რაც სენსაციად მოინათლა, მაგრამ ეს თურმე „ჟურნალი“ ყოფილა – „ფილმი“ წინ გველოდა, როცა ნახევარფინალში უმთავრესი ფავორიტის – ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრის „ინტერნასიონალის“ ჯერი დადგა.

მას შემდეგ, რაც ლიბერტადორესის თასის მფლობელის იერიშები მოიგერიეს, დებიუტანტებმა მეორე ნახევარში შეტევებისთვისაც მოიცალეს და მრისხანე მეტოქე შერცხვენილი გაისტუმრეს სამშობლოში – 2:0 (კუბანგუ, კილაიატაძ.

ასე რომ, ტიტულამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

**ანა ქაფიაშვილი,**
**საინფორმაციო სააგენტო „კაბადონი-8“**

მეზობლებთან

# ქურმუხობაზე

**თბილისის, საგარეჯოს, ყვარლის, ბაქოს და კახის რაიონის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და საჯილდაო ქვის აწევაში ტრადიციულ დღესასწაულ ქურმუხობაზე საინგილოში, რომლის ინიციატორი გახლდათ ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტი დიმიტრი დუნდუა. მისი თაოსნობით ღონისძიება მეთვრამეტედ მოეწყო.**

ქართულ ჭიდაობაში პირველ ადგილებზე გავიდნენ ელდარ თაგოშვილი (ალათემურიძ, ვლადიმერ თიროვი, ვუგარ კასიმოვი, ბაჰარჩი აზიზოვი (სამივე – კახიძ, ზურაბ ფაქელაშვილი, გიორგი სოხაძე (ორივე – ყვარელიძ და ბექა ბერიაშვილი (თბილისიძ. მკლაჭიდში უძლიერესის სახელი იმედა თამაზაშვილმა, მერაბ ფოლადაშვილმა (ორივე – კახიძ და პაატა მურადხანაშვილმა (მეშაბასიძ დაისაკუთრეს. საჯილდაო ქვის აწევაში ყველას ბაქარ ნიკოლაიშვილმა (თბილისიძ აჯობა.



* * *

**გუშინ გაიმართა ქართული ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც მის თავკაცად თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის უფროსი თემურ გიორგაძე აირჩიეს.**

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# საუკეთესონი



**ჩოგბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ITFძ წლის საუკეთესო ჩოგბურთელებად დაასახელა ესპანელი რაფაელ ნადალი და დანიელი კაროლინა ვოზნიაცკი. ორივე ლაურეატმა სეზონი დაამთავრა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელის რანგში.**

მიმავალ წელიწადში ნადალმა მეხუთედ მოიგო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი და მეორედ გახდა უიმბლდონის ტრიუმფატორი. 20 წლის ვოზნიაცკი ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია მარტინა ჰინგისის, მონიკა სელეშისა და შტეფი გრაფის შემდეგ,. ჩოგბურთის „ტახტზე“ რომ ავიდა.

წყვილთა შორის საუკეთესოებად აღიარეს: მამაკაცებში ამერიკელები ბობი და მაიკ ბრაიანები, ქალთა შორის კი – არგენტინელი გიზელა დულკო და იტალიელი ფლავია პენეტა.

წყალხტომა



# კიევში იასპარეზებენ

**უკრაინის დედაქალაქი მეხუთედ უმასპინძლებს წყალმხტომელთა A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. საქართველო შეჯიბრებაზე, რომელიც 17-19 დეკემბერს გაიმართება, სამი სპორტსმენით წარსდგება:** სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში ჯილდოებისთვის ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი და სალომე ჯუღელი იბრძოლებენ, ხოლო წყვილთა პაექრობაში ჭანტურია-კორახაშვილის დუეტიც ჩაებმება. შარშანწინ მათ ბრინჯაოს, შარშან კი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელია ალექსანდრე ბართაია. ტურნირზე მსაჯად არის მიწვეული A კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი ირაკლი ბართაია.

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

## ობამამ კალათბურთელებს მიულოცა

**აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ნბა-ში გამარჯვება მიულოცა „ლოს-ანჟელეს ლეიკერსის“ კალათბურთელებს. შეხვედრა გაიმართა ვაშინგტონის ერთ-ერთ სკოლაში საქველმოქმედო აქციაზე. ტრიუმფატორებმა სურათიც გადაიღეს სახელმწიფოს პირველ პირთან.**

უწინ ობამამ ამჯობინა მასპინძლობა თეთრ სახლში, ახლა კი მოთამაშეები სპორტულ კოსტიუმებში იყვნენ და აუდიენციაც არაოფიციალურ ვითარებაში მიმდინარეობდა. პრეზიდენტმა წარმოთქვა მისალოცი სიტყვა, სადაც განსაკუთრებით აღნიშნა „ლეიკერსის“ მწვრთნელის ფილ ჯექსონის, აგრეთვე გუნდის ლიდერების კობი ბრაიანტისა და დერეკ ფიშერის დამსახურება.



ჯეკსონისთვის ეს გამარჯვება კარიერაში მეთერთმეტე იყო, ხოლო „ლეიკერსში“ – მეხუთე. პირველი ექვსი მან „ჩიკაგოში“ მუშაობისას მოიპოვა, ამ კლუბს კი გაგიჟებით ქომაგობს ობამა.

„ჩვენ ეს პატივი მოგვაგეს ჩემპიონობისთვის, რაც ნამდვილად დავიმსახურეთ. სასიამოვნოა, როცა შენ პრეზიდენტი გილოცავს. ამის შემდეგ ძალები გემატება ახალი მიღწევებისთვის! – აღნიშნა ფორვარდმა რონ არტესტმა. – ვფიქრობ, რომ ობამა არ მოისურვებდა ჩემთან თამაშს, რადგან მას ერთ-ერთ უვარგის მოთამაშესთან შეჯახებისას 12 ნაკერი დაადეს. ვფიქრობ, მას არ მოეწონება ჩემი მოქმედება დაცვაში“.

შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ბოლოს ნათესავებთან და მეგობრებთან კალათბურთის თამაშისას ქვეყნის მეთაურს სახეში მოხვდა და ის საავადმყოფოში გააქანეს, სადაც12 ნაკერი დაადეს ტუჩზე.

## ჰომოსექსუალებს ეწყინათ

**სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, რომელმაც ჰომოსექსუალებს ურჩია, თავი შეეკავებინათ ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყატარში ჩასვლისას რაიმე სექსუალურ აქტივობაზე, რათა არ გაეღიზიანონ მორწმუნეთა გრძნობები.**

როგორც ამბობენ, ამ ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის თავკაცმა ასეთი განცხადება გააკეთა იმ შეკითხვის პასუხად, თუ რა თავისებურებები გააჩნია ჩემპიონატის გამართვას მუსულმანურ ქვეყანაში, სადაც აკრძალულია ალკოჰოლური სასმელების დალევა, ჰომოსექსუალიზმი კი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

„ჩვენ თავისუფალ სამყაროში ვცხოვრობთ და მე მწამს, რომ 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატი პრობლემების გარეშე ჩაივლის. ახლო აღმოსავლეთში სხვა კულტურაა, სხვა რელიგიაა, ფეხბურთმა კი საზღვრები არ იცის“, – დაამატა ზეპ ბლატერმა.



თუმცა უკვე აკრიტიკებენ ბლატერს ჩემპიონატების იმ ქვეყნებში გამართვის გამო, სადაც უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს. მაგრამ ფიფას თავკაცმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ყატარის არჩევა გამოწვეულია მუნდიალების იმ ქვეყნებში მოწყობით, სადაც ადრე ის არ გამართულა. მან ასევე უარყო ფიფას აღმასკომის წევრთა მოსყიდვის ბრალდება.

„თუკი სპორტს არ შეუძლია საზოგადოების გარდაქმნა უკეთესობისკენ, დროებით მაინც, სანამ ჩემპიონატი მიმდინარეობს, მაშინ ასეთი სპორტი მოზარდი კაცების ბურთის დევნაა! – განაცხადა ნბას ყოფილმა მოთამაშემ ჯონ ამაეჩიმ, თავის ჰომოსექსუალობას რომ არ მალავს.

## ფეხბურთი ირანელზე გაცვალა

**ფეხბურთში გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე რუმინელი მოდელი სილვანა ბრეგარუ გამოცემამ Bild ყველაზე ლამაზ ქალად რომ აღიარა, გერმანიის ნაკრებს ქომაგობდა და ახლა სწორედ გერმანიაში ცხოვრობს, სადაც ძალიანაც უყვართ.**

ახლახან მან აღიარა, რომ ის მარტო არაა. მისი თქმით, მისი რჩეული მამაკაცი უფრო პატიოსანია, ვიდრე გერმანელები და რუმინელები. ის ირანელია, რომლის დამორჩილება ძალზე გაუჭირდა და რომელიც ძალზე კარგი კაცია და ფინანსებითაც უზრუნველყოფილია.



### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# პატივმიგება...

**აკადემიკოს მერაბ ალექსიძის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა აკადემიისა და მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საიუბილეო სხდომა. განსვენებული გამოჩენილი მათემატიკოსისა და გეოფიზიკოსის, მეცნიერების ორგანიზატორის, საზოგადო მოღვაწის, მგზნებარე მამულიშვილისა და უნიკალური პიროვნების ხსოვნის პატივსაგებად სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ კოლეგები, თანამშრომლები, მოწაფეები, მეგობრები, ახლობლები...**

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. დამსწრეთ უჩვენეს 20-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე“. განსვენებულის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა აკადემიის წევრმა თამაზ ჭელიძემ, მეცნიერულ შემოქმედებაზე – პროფესორმა დავით გორდეზიანმა.

ცხოვრებიდან ნაადრევად, 62 წლის ასაკში წასულმა შესანიშნავმა მკვლევარმა 18 მონოგრაფიისა(!) და 132 მეცნიერული სტატიის(!) გამოქვეყნება მოასწრო და ვინ იტყვის, კიდევ რამდენი პირველხარისხოვანი გამოკვლევით გაამდიდრებდა საყვარელ სამეცნიერო დარგებს, რომ არა ტრაგიკული აღსასრული 1993 წლის ივლისის იმ საბედისწერო დღეს...

საოცრად თბილი, ამაღელვებელი მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიის წევრი გურამ გაბრიჩიძე, აკადემიკოსები მინდია სალუქვაძე, ჯუმბერ ლომინაძე, ნიკო ვახანია, მეცნიერებათა დოქტორი თამაზ ებანოიძე... საზღვარგარეთიდან მოსული ადრესები წაიკითხა გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ნუგზარ ღლონტმა.



შეკრებაზე მისულთ სკამებზე დახვდათ „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 დეკემბრის ნომერი, სადაც ასე ფართოდ იყო წარმოდგენილი ჭეშმარიტად დაუვიწყარი სწავლული და ადამიანი – აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე...

# ღირსეული აფხაზის ხსოვნას მიეძღვნა

**კონფერენცია, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის სასწავლო უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში, პროფესორ ლორიკ მარშანიას ხსოვნას მიეძღვნა.**

აფხაზი ხალხის, აფხაზეთისა და საქართველოს სასახელო შვილი, აფხაზი და ქართველი ხალხების ძმობის მხურვალე მხარდამჭერი, საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებული მებრძოლი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი – აი ვინ გახლდათ ლორიკ მარშანია.

დიდ ეკრანზე დემონსტრირებული ვიდეოფილმიდან, რომელიც ძირითადად ბატონი ლორიკის ვრცელ მონოლოგს ეყრდნობოდა, იმის ენა-პირით, ჩინებული, დარბაისლური ქართულით ბევრი რამ საგულისყურო მოვისმინეთ ბოლო ათწლეულებში დატრიალებული ტრაგედიის ირგვლივ, კიდევ ერთხელ გავისიგრძეგანეთ იმპერიული რუსეთის ავი ზრახვები, „მესამე ძალის“ მტრული როლი მთელს ამ ტრაგედიაში...

პროფესორმა გივი როგავამ მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ პროფესორ ლორიკ მარშანიას სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს მიუძღვნა, პროფესორმა რევაზ ხარებავამ – პროფესორ ლორიკ მარშანიას სამეცნიერო მოღვაწეობას; „ზოგი რამ ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ ლორიკ მარშანიას მოღვაწეობაზე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში“ – ასეთი იყო პროფესორ შოთა ხეცურიანის მოხსენება.

კიდევ იყო ოფიციალურ პირთა მისალმებები კონფერენციისადმი, იყო თბილი მოგონებები განსვენებულზე.

...ბატონი ლორიკი ოცნებობდა თურმე იმ სიმბოლურ სუფრაზე, რომელიც ქართველთა და აფხაზთა შერიგების ნიშნად გაიშლება ენგურიდან ფსოუმდე, რომლის სიმბოლურსავე თამადობას სიამოვნებით იტვირთავდა. ვისურვოთ ამგვარი სუფრის გაშლა არცთუ შორეულ მომავალში, მართალია, თავად ლორიკ მარშანიას გარეშე, მაგრამ უთუოდ პირველთა შორის იმისი დიდი პატივისცემით ხსენებით...

**თამაზ ებანოიძე**

### ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● მსოფლიოში ყველაზე „ახალგაზრდა“ ქვეყანაა იემენი, რადგანაც იქ მოსახლეობის 52 პროცენტი 15 წლამდე მოზარდია.

● სანკტ-პეტერბურგში მიხაილის სასახლე დღესაც პავლე I-ის ფავორიტ ანა გაგარინას ხელთათმნის ფერადაა შეღებილი.

● რუსეთში იმპერატორთან შეხვედრისას ყველას ქუდი უნდა მოეხადა. ამიტომაც მეეტლეებს ქუდი კბილებით ეჭირათ.

● ფრანგი მეცნიერების გამოკვლევით მსოფლიოში 5651 ენაა. ის საკმაო რაოდენობითაა ჩრდილო კავკასიაში, ჰიმალაებში 160-ია, ნიგერიაში – 280, ახალ გვინეაში კი ყველაზე მეტი – 1,010-ია.

● ამერიკელები 1929 წლის 29 ოქტომბერს „შავ სამშაბათს“ უწოდებენ, რადგან ამ დღეს ნიუ-იორკის ბირჟამ კრახი გამოაცხადა და „დიდი დეპრესია“ დაიწყო.

● 1957 წელს ანტარქტიდაზე ამერიკელების ბაზა „ამუნდსენ-სკოტი“ დრეიფის გამო სამხრეთ პოლუსს დაშორდა, ამიტომ ამერიკელები იძულებული გახდნენ, 1975 წელს იმავე სახელწოდების ახალი ბაზა აეშენებინათ.

### ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

# პალიკო „უცხო“ ქალაქში

**პარლამენტარი პალიკო კუზლაშვილი არ გეგონოთ, პენსიონერ პალიკო ლალიაშვილზეა ლაპარაკი. იმას რა უნდა გაუჭირდეს, ოკუპანტი პუტინის გინებას და ხალხის გამტყავებელი კანონების მიღებას რა დიდი თავისტკივილი უნდა. მისნაირთა წყალობით ბედს არ ემდურის ლალიაშვილიც, რომელიც, გარდა იმისა, რომ თარგმანებით ბლომა ჰონორარს აკეთებს, ყოველთვიურად კაი 100-ლარიან პენსიასაც ღუნავს. ერთადერთი, რამაც პენსიონერს სიცოცხლე გაურთულა, ჰიპერტონული დაავადებაა, მაგრამ ცხოვრებაგამოვლილი ბერიკაცი ამასაც მშვენივრად უვლის. მან ჯერ კიდევ წინა საუკუნეში შეიძინა წნევის მაკონტროლებელი აპარატი და მას (წნევასძ, შინაც და სამსახურშიც, წარამარა იზომავს. უფრო კი სამსახურში, თანაც შესვენების პერიოდში, როცა აქ დადგენილი ტრადიციის მიხედვით, ღვინო ან არაყი უნდა გადაჰკრას.**

მოახლოვდება თუ არა „პერერივი“, გახსნის პალიკო „დიპლომატს“, ამოიღებს აპარატს, დაუქშუტუნებს, შკალაზე შეფრენილ ვერცხლისწყალს შეხედავს და ამის მიხედვით განსაზღვრავს, ღვინის დალევა აჯობებს თუ არყისა. თუ წნევა მაღალია, უფრო არაყს ეტანება (წნევას უცებ აგდებსძ, თუ საშუალოა, ღვინოს აჯობინებს. არის ცალკეული შემთხვევები, როცა არაყსაც ერეკება და ღვინოსაც, გააჩნია დროს და ვითარებას, ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემებსა და გუნებაგანწყობილებას.

ამის შემხედვარე, სხვა მუშაკებიც პალიკოს რეცეპტით მკურნალობენ წნევას. ერთადერთი ბენიტო ეურჩება, რომელსაც პალიკოს მიერ დაწესებული ნორმები ფეხებზე ჰკიდია, უკონტროლოდ ყლურწავს და ზოგჯერ მღერის კიდეც, რაც შემოქმედებით კოლექტივს ყურების ბარაბნის გახეთქვის აშკარა საშიშროებას უქმნის. უკმაყოფილებას ვერ მალავს გუზაზი, რომელიც შესვენებაზე ზოგჯერ ლუდს მიირთმევს, პალიკომ კი ამ სასმისზე დღემდე ნორმატივი ვერ დაადგინა.

ასეა თუ ისე, პალიკოს სამსახურში ყველაფერი რიგზე აქვს, აი, სიღნაღთან დაკავშირებით კი, სადაც მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა, კავშირურთიერთობის აწყობა რატომღაც გაუჭირდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა სიღნაღი მსოფლიოში ნომერ პირველ ტურისტულ ქალაქად გამოაცხადა და პალიკო იძულებული გახდა, მშობლიური ქალაქი, სადაც დედმამისეული სახლი დარჩა, ყოველთვიურად უცხოელი ტურისტივით მოინახულოს.

იმ დილასაც, ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნებულ კოლეგას ბენიტომ დაჯდომაც არ აცალა, ისე აჯახა:

– რა ქენი, ძველო, იქეიფე?

– ვიქეიფე კი არა, – ამოღერღა პალიკომ, – ესენი ყველაფრის მადას დაგიკარგავენ, ჯო.

– რაზე ამბობ, ცუდად იმგზავრე? – შეეჭვდა კოლეგა.

– დაზმულმა.

– დაზმულმა? არ გადამრიო, – აროხროხდა ბენიტო, – მერედა ვინ დაგაბა იმ უსინდისომ ეს ხანდაზმული კაცი?

– ტაქსისტმა, სხვა ვინ დამაბამდა?

– აა, მძღოლის გვერდით იჯექი? შენც უკან დამჯდარიყავი.

– ვინ დამსვა, თორემ კი. ამ ახალგაზრდების დაზმა გამიჭირდება, შენ უფრო იოლად დაგაბამ და არ იწყინოო, მითხრა მძღოლმა და ღვედი სასწრაფოდ გადამიჭირა.

– გიფრთხილდებიან, ყმაწვილო, გიფრთხილდებიან! – გამხიარულდა ბენიტო, – შენ ეგ მითხარი, მშობლიური სიღნაღი როგორ შეგხვდა?

– ინგლისურად, ბენიტო ინგლისურად! – სიმწრის ღიმილმა გადაურბინა მეჩხერ კბილებზე პალიკოს.

– ვერ მიგიხვდი?

– რას ვერ მიმიხვდი, თავი უცხო ქალაქში მეგონა, გამსოფლიოტურისტებულ სიღნაღში ქართულს ველარ გაიგონებ, მთელი ქალაქი ინგლისურად ლაპარაკობს. კიდევ კარგი, საკუთარი სახლის გზა არ შემეშალა, თორემ მე ინგლისური არ ვიცი და როგორ მივაგნებდი.

– აბა იქაური ვირები ზაგას როგორ აგნებენ?

– იმათაც უსწავლიათ, ჯო, ოღონდ ოდნავ ქიზიყური აქცენტით ლაპარაკობენ.

– არ გადამრიო, ასე სწრაფად ვინ შეასწავლა სიღნაღელებს ინგლისური, უცხოელი მასწავლებლები იქაც ხომ არ ჩაუყვანიათ?

– იქაც კი არა, პირველ რიგში იქ ჩაუყვანიათ და ოჯახებში შეუსახლებიათ. კაი ბიჭი ხარ და აბა ქართულად იკითხე რამე, პასუხს არავინ გაღირსებს.

– ეგ როგორ, ტო, ორგანიზაციებსა და სავაჭრო ობიექტებს ხომ მაინც შერჩათ ქართული აბრები.

– ქართულს ვილა ჩივის, რუსულიც გაუქრიათ. სომეხი ტურისტები შემხვდნენ, გამწარებული დარბოდნენ – თქვე კაი ხალხო, ასე სწრაფად როგორ გაევროპელდით, რუსული წარწერა ტუალეტისთვის მაინც დაგეტოვებინათო.

– ასე თუა, მაღაზიაში პროდუქტებისთვის რო შედიოდი, გამყიდველს რა ენაზე მიმართავდი?

– სათქმელს მუნჯურად, ხელის მოძრაობით ვეუბნებოდი. ისაკას დუქანში მწვადიც ასე ვაივაგლახით შევაწვევინე.

– ერთი ეგ მითხარი, მაგ ტურისტულ მექაში ჩვენი ფული მაინც თუ გადის?

– ფული კი, კაცო, წინა დღის აღებული პენსია, აქ რო მთელი თვე ვზოგავ ხოლმე, იქ 10 წუთში დავხარჯე.

– კარგია, მაგ მხრივ მაინც გქონია შეღავათი.

– აბა კაცო, ვინატრე, ნეტა ბენიტოც აქ იყოს-მეთქი.

– შეპატიჟებას აპირებდი?

– არა, უბრალოდ მინდოდა ამ შეღავათით შენც გესარგებლა. ამას წინათ „ლიბერთი ბანკიდან“ ავანსად აღებულ პენსიას იქ სულ იოლად დახარჯავდი...

*პალიკოსა და ბენიტოს საუბარს შეესწრო*
**ოთარ ჩართოლანი**

### კარიკატურისტის თვალით




უსიტყვოდ



**გურამ ბზვანელი, ბარამ ბარამიძე, ლევან კასრაძე, თამაზ შარაშიძე, გურამ ინაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გივი მრელაშვილი ღრმა მწუხარებით თანავუგრძნობთ ჩვენს მეგობრებს გურამ და ჯუმბერ (ჯუბაძ სილაგაძეებს დედის, ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი ქალბატონის ნადეჟდა ჯოვანი-სილაგაძის გარდაცვალებას.**

### ინფორმაცია

## ინციდენტი ნაძალადევში

თბილისში უცნობმა პირებმა 29 წლის მამაკაცი დაჭრეს.

შემთხვევა ცოტნე დადიანის ქუჩაზე სამშაბათს მოხდა. ხვიჩა ცინდელიანს ჭრილობა გულ-მკერდის არეში ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

ის ღუდუშაურის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ექიმების განცხადებით, მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

საქმეზე გამოძიება გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო.

ჯი-ეიჩ-ენი

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7653 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## დაიჯესტი

### ვერა, ბატონო, ჩემ ტელეფონს ვერ გათხოვებთ!



**მობილურ ტელეფონებზე დაახლოებით ოცჯერ უფრო მეტი ბაქტერია იყრის თავს, ვიდრე საზოგადოებრივი ტუალეტების ჩამოსარეცხ ავზებზე, – ესაა ბრიტანელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგი. ისინი მობილური ტელეფონების ზედაპირიდან აღებულ სინჯებს ტუალეტების სახელურებიდან აღებულებს ადარებდნენ და დაადგინეს, რომ მიკროორგანიზმების ოდენობა ტელეფონების ზედაპირზე ჰიგიენურ ნორმას 25-ჯერ, ხოლო ტუალეტების სახელურებზე 18-ჯერ ჭარბობდა.** ამასთან მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველა ბაქტერია ადამიანისთვის მავნე არ არის, თუმცა განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ მობილური ტელეფონების ზედაპირზე პათოგენური მიკროორგანიზმებიც აღმოაჩინეს – კუჭნაწლავთა და ჩირქოვან ინფექციათა აღმძვრელები, მათ შორის, სალმონელა, კუჭნაწლავის ჩხირი და სტაფილოკოკი.

სპეციალისტები რეკომენდაციას იძლევიან, რომ მობილური ტელეფონების პატრონებმა იზრუნონ თავიანთი აპარატების სისუფთავეზე და მოერიდონ მათ სხვა პირთათვის გადაცემას.

### დიაგნოზი: სრულფასოვანი დიალოგი შეუძლებელია

**საუბრის წარმართვის მანერა ქალებსა და მამაკაცებს იმდენად განსხვავებული აქვთ, რომ მათ შორის დიალოგი შეუძლებელია, – ესაა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მეცნიერთა დასკვნა, რომლებიც პრობლემას იკვლევდნენ.**



თურმე მამაკაცები თავს არიდებენ გრძნობებზე საუბარს და ასიდან 90 შემთხვევაში სდუმან, თუმცა სურათი კარდინალურად იცვლება, თუკი სალაპარაკო თემაა სპორტი ან პოლიტიკა. ქალების წვლილი საუბრის წარმართვაში გაცილებით წონადია: ისინი მამაკაცებზე სამჯერ მეტ კითხვას სვამენ და იდეებს წამოაყენებენ, ხოლო ამ უკანასკნელთა პასუხად მხოლოდ სრულიად გაურკვეველი ბურდღუნი ესმით.

### ჯობდა თვითონვე გადაეხადა

**2,5 ათასი გირვანქა სტერლინგი (3,9 ათასი დოლარიძ ჯარიმა ემუქრება 70 წლის ბრიტანელ ქალბატონ შეილა მარტინს ქვაფენილზე თამბაქოს ფერფლის დაყრის გამო! მისის მარტინი ქალაქ ოლდბიურში ავტობუსის გაჩერებაზე იდგა, როცა სიგარეტიდან ფერფლი ქვაფენილზე ჩამოუვარდა, რაც გამვლელმა, მუნიციპალიტეტის ქალაქის ქუჩებში წესების დაცვის ზედამხედველმა თანამშრომელმა შენიშნა.** მოხელემ მაშინვე გამოუწერა ქალბატონს 75 გირვანქა სტერლინგის (117 დოლარიძ ჯარიმა, რომლის გადახდაზე მისის მარტინმა უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ სასჯელი დანაშაულს არ შეესაბამებოდა. საქმე ადგილობრივ სასამართლოს გადაეცა, რამაც ვითარება კიდევ უფრო მეტად დაძაბა და, როგორც ჩანს, მისის მარტინს ისევ თავდაპირველი ჯარიმის გადახდა ერჩივნა.

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +10 |
| ქუთაისი. | +10 – +12 |
| ბათუმი. | +10 – +15 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +2 – +9 |

### თქვე არგასამრავლებლებო, თქვენა!

**გასული საუკუნის 80-იან წლებში, პარიზის მუნიციპალიტეტის მითითებით, დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე ჩასახვის საწინააღმდეგო**



**პრეპარატებით დამუშავებული რვა ტონა ფრინველის საკვები დაყარეს.** საქმე ის არის, რომ პარიზის ხელისუფლება მრავალი წლის განმავლობაში ებრძვის ამ ფრინველებს, რომლებიც ქუჩებს აბინძურებენ, სვრიან ძეგლებს. ღონისძიებას გარკვეული შედეგი მოყვა – მტრედების საერთო რიცხოვნობა 200-დან 40 ათასამდე შემცირდა.

### „არამომხიბლაობის“ ათი კილოგრამი



**ქალების უმრავლესობისთვის საკუთარ წონაზე კონტროლი სექსზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ამტკიცებენ ამერიკელი მკვლევარები, რომლებმაც ათასობით მოხალისე გამოკითხეს.** გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა განაცხადა, რომ ზაფხულში 4 ზედმეტი კილოგრამის მომატებას სასიყვარულო ურთიერთობებზე უარის თქმა ურჩევნია. ამასთან, საგულისხმოა, რომ ამ აზრს მხოლოდ ყოველი მეოთხე მამაკაცი იზიარებს.

გამოკითხულთა 66 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ თავი უფრო მომხიბლავად იგრძნოს, მათ, საშუალოდ, 10 კილოგრამის დაკლება სჭირდებათ.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## ანეკდოტები

– ჩემმა ცოლმა გახდომა მოიწადინა და ახლა რეგულარულად დაჯირითობს ცხენით.

– როგორია შედეგი?

– ცხენი ათი კილოგრამით გახდა.

* * *

– პეტიამ ჩემში ქალი გააღვიძა!

– მერე როგორ აპირებ ასე ცხოვრებას, ვასკა?



* * *

– რა გვაქვს ვახშმად? – კითხულობს სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი.

– დღეს განტვირთვის დღე გვაქვს.

– მაშინ მე დატვირთვის დღე მექნება, – ამბობს ქმარი და მაცივრიდან არყის ბოთლი გამოაქვს.

* * *

თუ მიგაჩნიათ, რომ ცუდად გამოხვედით ფოტოზე, კიდევ ერთხელ დახედეთ მას ათი წლის შემდეგ და აზრი შეგეცვლებათ.

* * *

უკვე არ ვუყურებ ცისფერ ეკრანს. იგი იმდენად ცისფერი გახდა, რომ მისი ყურება უბრალოდ შეუძლებელია.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.